 სნა, რომელნი ოთხმოც წელს ოდენ თავისუფლად
 დაძიენ. და თავად აგუდ ვიდრე სიკვდილადმდე მათ
 მოსაჯულობას უყოფდის: მას შემდგომ სხვა ერ-
 თი ძენე კაცი გამოხდა სამეგარ წოდებულ ძეგ ანა-
 თასი, რომელმან მრავალი შეეწია მეთა. ისრაელ-
 ისათა. იფერად რამეთუ ერთი გზის ყანის სახნაფი
 ჭილღითა ექუს ასი უცხო თესლი ჰკლა. და მათ
 საცხოვართაგან ზროხა, ცხოვარი, კბო, მრავალი
 აიკლა წამოასნა:

თანვი შეექუსე:

მოთსრობა დებორისა, ბარაკისა, სისარიისა, და
აელისა:

მო-საჯ. დ. ე: — წელი ქვეყნისა 2700:

სამეგარს სიკვდილს შემდგომ მეთა ისრაელი-
სათა კელმეორ გზანი თვისნი შეცვალეს რა, ღმე-
რთი განურისხნა მათ და მისცა იეინი კელსა აბინ
წოდებულ ქანანელთ მეფისა. რომელმან წელსა
ოცსა ქვე აღებითა სჯანჯა იეინი: მათ დღეთა ში-
ნა ისრაელთა შორის იყო კეთილმსახური ქალი
ერთი წინასწარმეტყველა დებორა სასელით ქვე-
ყანასა ეფრემისსა შემკვიდრე. სად მეთა ისრაელი-
სათა უკეთუ რამ ბჭობა ექმნებოდათ თავიანთ შო-
რის, მივიდოდენ მისა, და იგი სამართალს უეოფ-
დის: ამან მოიხმო ბარაკ წოდებული კაცი ერთი
ნეფთალიმის ნათესაჲისაგანი და ჰრქვა მას, შენ
გიბრძანებს ღმერთი რათა მიხვიდე თაბორ მთად
და ნეფთალიმის, საბულონის გვარისაგან ათი ათასი
სული შეგარიბო შენთან აღიყვანო და მიხვიდე კი-
ლონის მდინარესთან სისარა წოდებული აბინ მე-

ფის მკედართ უსუცესის ჰირდაჰირად, საღ მე ყო-
 გელი წარისა მისისა ხელსა შინა. შენსა მოცემად
 ვარ: ხოლო ბარაკ შეშინებულმან ვერ ვაბედა თა-
 ვად მარჯოდ კელის მიყოფად საქმისა ამისა. ა-
 მისთვის მიექცა დებორას ჰრქვა, უკეთუმცა შე-
 ნც ზემთანა მოხვალ, წარვალ, რათა მე მაცოდ-
 ნო თავის დროსედ თუ რინის ღმერთი საქმესა
 ზემსა წარმიმართავს. თუ არა, არცა მე წარვალ:
 დებორამანც სიჯგუა მისცა წარსვლისა, ვარსა
 ეცუოდა, შე მოვიდგ შენთანა, არამედ მაშინც ვამა-
 რწვება შენი არა იქმნებისო. იფერ ერთად ვან-
 ვიდეს ათი ათასი კაცნი შემოკრიბნეს თაბორ მთად
 მივიდეს: ესე ვითარცა გულის ემა ყო სისარ მკე-
 დართ უსუცესმან, თავადცა ყოველი მკედარი თვისი
 აღიფანა ცხრა ასი საომარი რკინის გულებით მო-
 ვიდა კისონის მდინარესთან განშაღებული დგა ის
 რაელთ ჰირდაჰირ: რაჟამს მოიწია ჟამმან და დე-
 ბორას თქმულობისა მებრ ბარაკ თაბორის შიით
 ვარდმოვიდა საომრად მცერთა ჰირდაჰირ, მაშინ
 ღმერთმან იფერი შიში შთაავდო გულსა სისარი-
 სსა, და ბანაკსა შინა მცერთასაც ერთი ერთში შემტე-
 ველესაჲ, და იფერ დღით შემფოთდეს, ვიდრეღა

ვინ ვის გაასწრობდის. და ბარაკ ჰარებთაურთ
 თვისითა უკან გამოდგომილმან ყოველნი მოსრნა
 მოქმინდა. სოლო სისარსაჲ მას აღშფოთებასა
 შინა მუის გაქცევა არკი უნდა, ვარე გამოსცნა ყე
 თვისი ეცლისაგან და ქვეითი რბენითა მივიდა ზირ-
 დაზირ კინელთ კერძოდ შთაგარდა: (ესე კინელ წო-
 დებულნი ნათესაგი ერთი მკირედი იყვნეს რომელნი
 მისულ იყვნეს კარგებით იმ ადგილთა შინა მკვიდ-
 რებდეს. და ვითარცა იჯევიან მოსესის ცოლის
 გამოისობით ისრაელთ მსასლად ყოფნითა მათთან
 მოყვარენი იყვნეს. ვარნა უცხო თესლთაჲცა თანა
 აპლილი არა იყვნეს.) მაშინ აელ წოდებულ ქა-
 ბერ კინელთ დედაკაცი სისარს წინ ვარდევარა,
 და ზაჯივის ცემით კარავში მიიწვია შეიყვანა მო-
 სასგენებლად. მანცა იფერ დაღალულ მოფეთქი-
 ლმან სასმელი წყალი სთხოა. მან ქალმან წყლის
 წილ რმე მიართვა მას, რათა წყალმან არ აწყინ-
 ოს. და იფერ შინით ვითარცა მას უნდა ფარულს
 ადგილს დაწვინა სედ წააბურა რათა რომე თუ ვინმე
 მუნ მივიდეს, კაცმან ვერ ნახოს იგი მუნ გაქცე-
 ული: აელ დედაკაცმან მან ზირ მომანეობით ეს-
 რეთი მოყვრობა აჩვენა სისარსა, ვარნა უფრო ვუ-

ლი ისრაელთა თანა არკი ერთი ქონდა, რაჲემს მრ-
 ხიბლ მისთანა მიქცეულმან იხილა იგი ღრმად და-
 მინებული, მაშინ მოილო მანანი კარვისა (ესე იგი
 ბალო) და მით მაგრად დატყედა თავი სისარისა აღ-
 გილზედ და იფფერ ჰკლა იგი: შემდგომ რაჲემს
 ბარაკ ზე მიუსწრა, რომელი სისარს უკან უთამ-
 ოდგომილი ემიებდა, აელ წინ მიეგება და ჰჭჭ-
 ვა. მოგედ რათამცა შენი მიებული კაცი ნახო-
 თავადცა შეგან შემავალ ნახა სისარ იფფერ ქვეყ-
 ნად დაცემული მეუღარი: და ესრეთ გამოიხსნა
 ღმერთმან შენი ისრაელისანი კელისაგან იაბინ მე-
 ფისა ქანანელთასა. რომელნი მას მოღმაცა წელსა
 ორმოცსა თავისუფალ მეუღროთ დაძთენ: დებო-
 რამანცა ბარაკისათანა ესფერს გამარჯვებასა ზედა
 საკვირველსა ღმერთს დიდება მისცა. და ორნივეცა
 ერთად მადრიელობის ქებას წართქმიდეს:

თავი მეშვიდე.

ვედონ ჰკედართ უსუცესად აღმოიჩვენის. და
 შეთა ისრაელისათა კელთაგან მადიანელთასა
 გამოიხსნის.

მოსჯ. ვ. 8. 17 — შუდი ქვეუხისა 2750 :

შენი ისრაელისანი სელ სელად კელმეორ ლუ-
 თის განმარისსებელნი პირისაგან ლუთისა განგარ-
 დეს. და იფერ უპატრონოდ ყოფნით კელთაგან
 მადიანელთა და ამაღეველთა რეფერი საქმე გამო-
 ვლეს, გიდრე სასლ კარიჯა თვისნი მიაჯოვეს აქათ
 იქით განბნეულნი, მათათა და მალნართა შინა, და
 უბირს ადგილთა შინა გაქცეულნი მუნ მკვიდრებ-
 დენ: და ესრეთ წელსა შეიდსა იჯანჯებოდენ რა,
 ღონეც მიუწყდათ ყე. და მოიქცეს ლუთისა მი-
 მართ და ეგედრებოდეს. სოლო ღმერთმან იწყა-
 ლა ივინი, და პირველ წინასწარმეტყველი მიუგ-
 ლინა მათ, რომელმან მოქმედებულნი ცოდვანი
 მათნი ყვედრა ამსილსა ივინი. შემდგომ ანგელ-
 ოსი ერთი მიუვლინა კაცსა ვედონ წოდებულსა,
 რომელი ივასის მე იყო ნათესავისაგან მანასესი,

რაჟამს ესეცა კეთილად მადიამელთასა გამოქცე-
 ული კალოსა ზედა მამისა თვისისასა, პრამობდა
 კალოს ლეწდა. მოვიდა მისა ანგელოზი იგი და
 ჰქრქვა მას ვითარმედ, შენ ღმერთმან გამოგარჩია,
 რათა მისგიდე შენი ისრაელისანი გამოისსნა კელ-
 თაგან მცერთასა: გედეონ საქმესა ამას ზედა ვან-
 ცვიფრებული უკან დე. და ჰქრქვა მეცხველმან.
 ვინ ვარ მე! ერთი საწყალობელი კაცი სასოვა-
 დო, რომელმან შენი ისრაელისანი ვისსნა: მიუგო
 ანგელოზმან მან და ჰქრქვა მას. უკეთუცა ღმერ-
 თი შენთან იყოს, მოსწყვიდნო ერთობ მადიამელ-
 ნიცა ყოველნი: მაშინ გედეონმან მან დამტკიცე-
 ბისათვის საქმისა ამისა თუ მართლიად იგი ლუ-
 თის მიერ მოვლენილი არს, ითხოა მისგან ერთი
 რამ ნიძანი. და ეგვედრა ანგელოზსა მას მუნ დე-
 რომა ვიდრემდის თაგად მივიდეს მას ცაბლა ვა-
 ნუმზადოს მოართვას. და გედეონ მეის წარვიდა
 თიკანი ერთი მოუსარმა, სმიადის ჰური შეუქმნა,
 აღილო ესენი და რა მოართვა ანგელოზს წინა.
 მან ანგელოზმან ჰქრქვა სატმელთა მათ პირდაპირ
 ქვაზედ დება, და ოდეს კელსა მწყრობი კვერთსი
 შეასო მას კორცსა და ჰურსა, მეცხველად ამოსდა

ცეცხლი მის ქვისაგან და სატყეელნი იგი მოსწ-
 ვა. და ანაზღეულად უსილაგ იქნა ანგელოზი ად-
 ვილისა მისგან: გედეონ ვითარცა იხილა სასწაუ-
 ლი ესე, დიად შემწუნდა. და ვულის ემა ეო
 ანგელოზობაჲ მისი. და მასვე ადვილსა საკურთ-
 ხეველი ერთი ღმერთს აღუშენა: მას ღამესა უბ-
 რძანა ღმერთიან გედეონსა. მივიდეს ბაჰალ კერ-
 პის საკურთხეველი დაარღვიოს დაამსოს, მისთანა
 მყოფი საკერპისასურო კენი მოკვეთოს, და კე-
 ზითა მით მოკვეთილითა თვისი მამის შვიდი წლის
 ვასუქებული კარი აღიყვანოს ღმერთს შეწიროს
 მრთლივ დასაწველად მას ახლად აღშენებულს სა-
 ცურთხეველსა ზედა: გედეონსა საქმისა ამის ქნა
 დღისით ეძინოდა. ამის გამო ღამესა ერთსა ვა-
 მოვიდა ფარულად, ათი ეგამი თვისი მამის მსას-
 ურთაგანნი თან წაიყვანა, და მივიდა ბრძანება იგი
 ღუთისა აღასრულა: დილას ადრე გამოვიდეს რა
 ქალაქის კაცნი, საქმე ესე იხილეს, და გამოი-
 მიეს ვულის ემა ეგეს რომე გედეონს უმოქმე-
 დებიეს, ამისთვის ვაცოფიანებულნი მივიდეს მამა-
 მის ზედა. და უნდოდათ რათა გედეონი გამოიყვა-
 ნოს კელსა მათსა მოსცეს: მამამანცა მისმან ესრეთ

ისსნა ევდგონ და ჰრქვა მათ. თქვენ რად ნაღვ-
ლობთ მისთვის. ბაჰალ თუ ღმერთი არის, აცა-
დეთ თავად შური იძიოს თვისი საკურთხეველის
დამამხობელთაგან და ჰკლას ივინი: და ამ მიზე-
ზით მამამან ევდგონსა სასელი ერობოალ დასდ-
ვა. ვითარ თუ ამით ბაჰალ კერძსა სძლია:

ამას შემდგომ ოდეს გულის კმა ეო ევდგონ
ვითარმედ მადიამელნი და ამაღეკელნი ერთად კვა-
ლად ისრაელი ზედა მოვლენან, თავადცა ღუთის
მიერ განძლიერებულმან მოიხმო შეიკრიბნა მენი
ისრაელისანი, ასერის, ზაბულონის და ნეფთალი-
მის გვარისაგან რათამცა მათ პირდაპირ განვიდეს:
არამედ აელმეორ მტკიცედ შეეცუობისათვის თუ
მართლიად იგი ისრაელი წინამძღურად გამოურჩ-
ეგია, მათი კელთაგან მადიამელთასა გამოსასნე-
ლად, ესე ნიშანი სთხოა ღმერთსა. რამეთუ საწმისსა
ერთსა ღამით ვარე ადვილზედ დაფენილს დაუც-
ვეებს. და მრთელი დედამიწა კმელი მშრალად და-
შთეს, და საწმისსა მაცყლისასა ზედა ხოლო იწ-
ვიმოს. ღმერთმან აღუსრულაცა სათხოვარი ევდ-
გონსა. რომელი ოდეს დილას ადრე აღსდგა ვასა-
წურავად საწმისისა მის და გაწურა, ხაწური წელით

ტაძრი გაიძლია: ესე არა იკმაგა. სსვაცა ერთი
 სთსოა ღმერთსა ამის წინაღმდეგად, ვითარმედ იგი
 საწმისი კელად დაძთეს იწვიძოს რა, და სსვა ყოვე-
 ლი დედა მიწა დასველდეს: გედეონ ვითარცა ისილა
 სასწაულნი ესე ორნი, უმეტესადღა ეული დაიდვა:
 ამის გამო შემომკრებელი ყოველი ჭარისა თვი-
 სისა განემსადა რა წარსვლად, მაშინ მიექცა
 ღმერთი ჰრქვა გედეონსა, ლაშქარი ეგჳ მრავალ
 არიან, მე მაგოდენითა მადიამელნი კელსა თქვენსა
 არა მივცე, რათა არა იცუოდეს ისრაელნი ვითარმედ
 ჩვენ ძალითა ჩვენითა ვძლიეთ ივინი, არამედ არქუ
 მათ მათგანსნი მოძიძნი უკუნ იქცენ: და სიჯყვასა
 ამას ზედა ოცდა ორი ათასი სული გამოვიდენ უ-
 კუნ იქცენ. და ათი ათასი სოლო დაძთენ: შემდ-
 გომ დანაძთენისათვისაცა ამისა, ეცუოდა ღმერთი
 მრავალ არიანო. და უბრძანა გედეონსა წარყვანება:
 ამათი წყლის ნაპირ ზედა, რომელთა სწყუროდა,
 და ეცუოდა, უმწირე მუნ წყლის სმაზედა, თუ
 რომელი მუჭით აღიღებს ძალსაგით სვლყნავს,
 და იგი ერთ კერძოდ დაადვინე. და რომელიც პირქვე
 წყალზედ დამსობილი სუამს, იგიც ცალკედ და-
 დვინე: და ესრეთ ყო ვედეონ, და ისილა რამეთუ

სამას სულმან სოლო ძაღლსაგით ასვლენით სუეს,
და სსვა დანაძთ ყოველთა მუსლმოყრილ დამსო
ბილი წყალი სვეს. მაშინ ეცყოდა ღმერთი გედ-
ეონსა, ვითარმედ სამასითა სოლო გამოხსნად ვარ-
ძეთა ისრაელისათა კელთაეან მადიამელთასა, და
სსვათა დანაძეთა ეზა უზვენე წარვიდეს სასიძ
თვისა: შემდგომ კვალად უბრძანა მას ღმერთმან
გულის დასადებად მისა, რათა თავად მარჯო აღ-
ყვენოს მე თვისი ფარა წოდებული ღამით ფა-
რულად მივიდეს ბანაკად მცერთასა. და ისმინოს
თუ რამსა იცყოდეს იეინი თავიანთ შორის. გედ-
ეონ ბრძანებისა ებრ ღუთისა მივიდა ყური დაუედო
სად მოლაშქრე ერთი, მეორესა მიუთხრობდის მე-
ცვეელი. მესმანა მე რამეთუ პური ერთი ქრთი-
ლისა იმიერ ავორებული მოვიდა პირდაპირ ჩვენ-
სა, ეცა დაამსო ბანაკი ყოველი მადიამელთა. სო-
ლო მეორეცა მას უთხრობდეს. ეგე სსვა არას ნი-
შნავს უბეთუ არ მასვილსა ოფასის მის გედეო-
ნისასა. რომლით მოხანს რამეთუ ღმერთმან კე-
ლსა მისსა ჩვენ მიმცა: ესე ვითარცა ესმა გედ-
ეონს, ღუთისადმი მადლის მომსხენებელი მყის
ბანაკად თვისსად უკუნიქცა: და ჰრქვა: მამ აბა აღს

დეგო წარგიდეთა ღმერთმან მადიამელნი ჩვენ
 კელს მომცაო. ამის გამო იგი სამასი სული სამ
 დასად განჭყო. და მათ ყოველს კაცად კაცადსა სა-
 ტურგელის წილ თვითო კელს ჩქისაგან შექმნილი
 საყვირი მოსცა, და მეორე კელს თვითო აღთე-
 ბული ლამპარი სარწყულსა შინა დებული რათა არა
 გამოჩნდეს. და დაუბარა მათ რომე ვითარცა თვით
 მოიქცევის, ივინიცა ეგრეთ ყოფდეს: და ესრეთ
 მოახლოებასა შუა ღამისასა განვიდეს ესენი ანა-
 ჴდათ. ბანაკსა მცერბასა მივიდეს. და თქმულობისა
 ებრ გედეონისა ერთობ საყვირთ დაყვირებით შე-
 მუსრნეს სარწყულნი იგი ლამპარნი ვარე გამო-
 ჩნდეს, და ყოველთა ერთპირად კმითა მალლითა
 შექმნეს ჴასილი. მნხვიდი ღუთისა და ჯედეონისა: და
 საქმიითა ამითა ღმერთმან ბანაკსა შინა მადიამელ-
 თასა იფუერი ერთი მრწოლა მთაადო, ვიდრეღა
 მასვე ადგილსა ერთი ერთ შინა შემტკველებულნი
 ჟამსა მას ღამის სიბნელისასა ვინც წინ შესვდე-
 ბოდათ თვისთ მცერთ მეონებელნი ურთი ერთსა
 დაუზოგველად სწყვეტდეს. და იფუერ ადგილსა
 მას ასოცი ათასი სული მათგანი მოიხრნეს, და
 ათსუთმეცი ათასიცა, რომელნი აქათ იქით გან-

ბნეულნი გაქცეულ იყვნეს, მათთვისცა კაცი მიუ-
გზანა გედეონ დანაბთ ისრაელთა. რომელნი გან-
ვიდეს გზა მოუჭრეს და ივინიჯა გაწევიცეს. და
მთავრებსაცა მათსა ორსა ორებ და ზებ წოდებ-
ულსა თავი მოჭკუჭთეს გედეონს მოუტანეს: შემ-
დგომ გედეონ სსვა ორი მთავარიცა შეიპყრა ზე-
ბეე და სალმანა წოდებულნი. და ივინიჯა თავად გე-
ლითა თვისითა დაკლა:

გედეონ ვითარცა მსნეობა ესე ქმნა დასრულ-
ლა, მაშინ ძენი ისრაელისანი მივიდეს მისა და გე-
ყოდეს. ამიერით შენ გშეგნის, რომელ შენ და შენს
შემდგომ მეა შენი წინამძღვარ ჩვენდა მეყო, რომ
მელმან გელთავან მადიამელთასა ჩვენ მისსენ: ხო-
ლო ივიცა გეყოდა. ნუ იყოფინ, მთავარი თქუშნი
ღმერთი არს. მე საქმესა ამასა სოლო თქვენგან.
ვითხოვ. რათა მტერთა მათ ნაშობართავან კაცის
თავს გამოიღოთ თვითო თვითო საყურე მე მომ-
ცეთ. (მისესი იგი იყო რამეთუ მას მოწევეც-
ილთა შორის ისმაელიცელნიცა მრავალ იყვნეს
რომელნი ოქროს საყურებს დაისხემდეს.) სოლო
მათაც გამოუღეს სიყვარულით მოსცეს. რომელ-
მან ესრეთ მოქცევით მრავალი რამ კელს ვაირ-

ოგინა მის მადიამელთ შთავართ ოქროს სამკაულთ
 გარდა: შემდგომ თვითაც მოიღო ივინი და მათით
 უსარებლო გარდანამეცნი რაიმენი შექმნა თვისს
 ეფრა წოდებულ ქალაქს შინა. რომელნი შემდგომ
 მიწესად ცოდვისა შეექმნა მას და შეიღოთ თვისთა
 და ყოველ დანაშტთ ისრაელთაცა: თუენდ თავად
 ლუთის მსახურებაცა თვისი გელიდგან არა დაუც-
 ევა. და მისთანა პენიუა ისრაელისანი ლუთის მსა-
 ხურებით წელსა ორმოცსა ვიდრემდის გედგონ
 იყო, თავის უფლადცა დაშთეს ეე გელთაგან მად-
 ამელთასა, და სხვა უცხო თესლთა:

თავი მეერვე:

მლაგრობა აბიმელიქისა:

მსაჯულთ. თ. წელი ქვეუხისა 2770:

მას შემდგომ პენი ისრაილისანი ლუთის მსა-
 ხურების დამცობელნი იწყებდეს ბაჰალ ბერიით
 წოდებულ სიკიმელთ კერანის მსახურებასა. და უა-
 მადურობასა დიდსა აჩვენებდეს გედგონსა, რომ-
 ელმან მათ იგოდენნი კეთილი უყო. რომელი ეს-
 რეთ იყო: ისრე. რომე მოკედა. რა გედგონ, მისი

მიყვანილი ცოლებსაგან დაეცოებინა მე სამეოც
 და ათი. და ამათს ვარდა სხვაჲცა ერთი აბიმელიქ
 წოდებული, რომელი სიკიძელთ ცოლისაგან ყო-
 ფილ იყო: ამასაჲცა მაშინ თვისი დედის გამოისო-
 ბით მონათესაგეთა მიერ ვული სიკიძელთასა თვი-
 სად მიეწიდა. რათა იგი სხვა ყოველი დანაშთი
 სამეოცდა ათნიცა მიაჯრობ, და თვით მამის ადგილს
 ისრავლთ ზედა მთავრად დაადგინონ. და უშიძრად
 დაჯვისათვის კელემწიფებისა თვისისა ჰირველ
 სიკიძელთაგან მიღებული თეთრით კაცნი უში-
 რესნი დააქრთამა შეიკრიბნა და მუის მივიდა თ-
 ისთ სამეოცდა ათნი მმანი შეიპყრა და სამეოც-
 და ცხრა ერთობ ქვასა ერთსა ზედა დაკლა. რო-
 მელთაგანი უმრწემესი იოათამ წოდებული ერთი
 ხოლო ვაიქცა დაიძალა სიკვდილისაგან განხერა:
 შემდგომ რაჟამს სიკიძელნი სხვა ისრავლთა თანა
 ერთად მომაგალნი, აბიმელიქის მეფედ დასმის დ-
 დებასა იქმოდინ, მაშინ ოგათამ მივიდა მათს ჰირ-
 დანორ ვარიზინ წოდებულ მათსა ზედა აღმაგალ-
 მან, შორიდგან ზასილით ჰრქვა მათ, მისძინეთ
 სიკიძელნი რაჲსა თქმად ვარ თქვენდა: ვეთა უნ-
 და თავთა ზედა დადგინებად მეფე ერთი. და მივი-

დეს ზეთისხილთ კესა ეტყოდეს მოვედ მეფე ჩვენი
 ნი იყავ. მანც მიუგო და ჰრქვა მათ რასათვის და-
 უტეო მე ჩემი მსუყე ზეთი, რომლით ღმერთი
 და კაცნი მე პატივს მცემენ, და მოვიდე თქვენ-
 ფერ კეთა მთავარი ვიყო. შემდგომ მივიდეს ლე-
 ღვეულისანა და ვარდეს ეგვიპტოს, რათა იგი მივიდეს
 მათსედა იმეფოს. მანც ჰრქვა, ვინთარ დაუტეო ნა-
 ყოფი ჩემი ტახტილი, და მივიდე კეთა მთავარი ვი-
 ყო: იგიც რომ არ იქმნა, მივიდენ ვაზთანა. ვაზ-
 მანცა მიუგო და ჰრქვა, ვინთარ შესაძლებელ არს,
 რომელ მე ღვინო ჩემი დაუტეო. რომელ ღვინის
 და კაცთ სინარულ არს. და მოვიდე თქვენფერ შე-
 შების მთავარი ვიყო: მანც რომ უარი უთხრა, მაშინ
 გამოვიდეს მერუსთან (ეწრებთან) მივიდეს და ეტ-
 ყოდეს, მოვედ ჩვენსედა იუფლეო. ეწერსაც ვაენა,
 რა ვაძა და ჰრქვა მათ, მართლიად მე თქვენ ზედ
 მეფედ დამადგენათ თუ, მოვედით ახრდილსა ჩემსა
 ქვეშე დაწექით. თუარა, ეწრით ცეცხლი ამოს-
 დების და თქვენ ფერ ნამვის კებსა მოსწვავს,
 შეჭამს: შემდგომ არაკისა ამისა ეტყოდა რათამ,
 მიჰსედეთ, სიმართლე არის ევე, რომელ გედე-
 ონსა თქვენს კეთილის მეოფელსა ეგფერად მია-

ვეთ, ვიდრეღა მის სამეოც და ათ მეთაგანისაჲცა ერთობ კვლამ იხებეთ, რათა აბიმელიქ მისი მკვლის მე მეფედ თქვენდა დაადგინოთ? საქმე ესე უკეთუჲცა ჭეშმარიტ არს, კეთილადცა დაემშვენიეს ყე ერთი ერთი, აბა თუ არა, გამოხდენად არს აბიმელიქისაგან ცეცხლი, რომელმან თქვენ მოგწვას შეგჭამოს, ანუ თუ თქვენგნით გამოკდენილ ცეცხლმან იგი შეგჭამოს:

რათამ ამის თქმით გამოვიდა ვანიგლგო წარვიდა დაიძალა. და ნათქვამი მისა ჭეშმარიტი გამოვიდა. ამიტომ რომე აბიმელიქ სამ წელს ოდენ ურიგობით ისრაელთ ზედა მფლობელობის შემდგომ, ვერღა უძლებდეს ყე სიკიმელნი მძლავრობასა მისსა, ამისთვის ვაალ წოდებულ უსუცესისათანა ერთი ეხდეს თავი გამოიღეს. და უკან შთამოუდგებოდინ მის შეპყრობად მოსაკლავად: ამის გამო აბიმელიქ სწაითა თვისითა სიკიმელთ ზედ მივიდა, და მათი მოწყვეცათა, ცინეს ცეცხლი მისცა და ათასის ოდენ სულიცა მუნ გამოხწვა: მუნით გამოსული თებეს წოდებულ ქალაქს ზედ მივიდა. რომელ ესენიც მას გარდასდგომოდენ. მის ქალაქის შუა ადგილს ცინე ერთი

მაგარი იყო, მის ქალაქის უხუცესთაგანსი მრავალნი მას შინა შევიდენ შემაგრდენ: რაჟამს აბიშელექ ცისის პირსა მივიდა მიეასლა მისი კარის ცეცხლის მისაცემლად, მაშინ შეითევან ქალმან ერთან საფქვავე ქვის ნაცესი ერთი შედ გარდმოუცევა, რომელი მოვიდა აბიშელექს თავის კვინისა შეუძუსრა. მანც მუის მოუწოდა მცვირთველსა საჭურველისასა და ჰრქვა. ისაღე მასვილი და მომკალ შე, რათამცა არა თქვან ვითარმედ დედაკცმან ერთმან მოკლა იგიო: და მუნ იგფერ ბოროცად მოკუდა აბიშელიქ, ლუთისაგან მიღებითა თვისი უწყალოების და სიბოროტის ჰატიუისა სიკემელთა თანა, ვითარცა მის არაკის მოტანითა იგიინი დაეწეველა. რათამს:

თანვი შეეცხრე:

მოთხრობა ეფთაძისა:

მსაჯულთ. ი. იბ. იბ: — წელი ქვეზნისა 2800:

აბიშელიქს შემდგომ ისრაელთ მსაჯული ეასდა თივლა წოდებული ერთი ცომისაგან ისაქაროსა, რომელი წელსა ოცდასამსა სჯდა. მას შემდგომ

იაირ ვალადელი, რომელს ოცდაათორმეტი ძეგ
ესუა. და კაცად კაცადსა მას თვითო თვითო ქალაქი
ქონდა, რომელნი მასრანი იაირისა ითქუნეს:

და ირ წელსა ოცდაორსა მსაჯულობის ქმნის
შემდგომ მოკვდა რა, მენი ისრაელისანი კვალად
კერპთ მსასურებასა უკან შთამოუდგებოდეს. და დაი
წეებდეს თაყვანის უკმაღ მოაბელთ და ამონელთ
კერპებისას. მის გამო ვაუწყრა ეფ მათ ღმერთი,
ვანაგლო ივინი ჰირისაგან თვისისა, და მიუშვა, რა
თამცა წელსა ათ რვაშეცსა ნათესაგნი იგი ამიერ
იმიერ მათ ქვეყნებსა შევიდეს და აძალ დაძალონ
ივინი: და ესრეთ რაჟამს ამონელნიცა ბანაკითა
თვისითა, წინ წარმოვიდეს ვალად წოდებულ სამ
თავრობოსა მივასლნეს, რათა მუნითვანც რიგით
მივიდეს ყოველი ქვეყნები ისრაელთასანი კარგად
დაიწყრან. მაშინ მენიცა ისრაელისანი თავს მოეგე
ბოდენ. და კერპთა მათ საშუალითვან აღებითა ღმე
რთს მიმართებდენ, ვცოდე იცუოდენ. და ამონელთა
ამათ ჰირდანირად ვალადის დიდ დიდთა თავიანთ
შორის ესრეთ სიცივა შეკრეს, რომე რომელიც
წინ წარვალს ბრძვის, იგივე თვისთ მთავრად დაად
ვინონ, ვარსა შემდგომ ვითარცა ისილეს ამა საგანსა

ზედა არაგვის კაცო გამბედავი, მაძინ იზრახეს ეფ-
 თაის მოწოდება მიუვანება. რომელმანც ბრძოლასა
 ამასა უბეგლოს: ეფთაია წოდებული ესე, კაცი
 ერთი ღონიერი მკნე ვალადელი იყო, რომელი
 მუხით მშათა თვისთა სამამეულო სამკვიდრებელიჲ
 საგან მოწყვეტითა სასლითგან ვარე გამოედგნათ.
 მენ მამისა ჩვენისა უჩურო შვილი სარო, თქმითა,
 და იგიუცა ერთ კერძოდ ვასული ვანცალკვევითა
 შემოეკრიბნა თავისთანა კაცნი ცარიელნი, და იე-
 ფერ მკნეობით თავისუფლად ჭეივბდის: ეფთაიან
 მან ოდეს ესენი მივიდეს ეგედრეს მას რათა მი-
 ვიდეს თავად ბრძოლა ესე თავს ვაიჯანოს, პირე-
 ელად მძიმედ მოექცა. ჭევედრა ვალადელთა თვი-
 სა მიმართ ქმსული უსამართლოებაჲ. შემდგომ
 ფიციად სიჯევა ართვა მათ რომე უკეთუმცა
 ღმერთმან ბრძოლა იგი წარუძართოს მათზედ ვა-
 იმარჯოს, მაძინ: თვით მათ ზედა მთავარიც ვე-
 იუოს, და პირობითა ამითა გამოსული მოვიდა
 მათთან ადვილსა მასევა წოდებულსა სადაცა მენი
 ისრავლისანი ერთად შეკრებულ იყვნეს. და შეის-
 დესანნი მიუვლინნა ამონელთ მეფესა და ეცყო-
 და. რასათვის მენ ადვილთა ჩემთა მოსული ბრძ-

გი: ამონგლო შეგემან მან ესრეთ უნასუსა მას და ჰრქვა. ადგილნი ესე ჩემი ქვეყნისანი იყვნეს, რომელნი ქეთა ისრაელისათა მოვიდეს ეგვიპტით გამოსულთა დაიყრეს: მაშინ ეფთაიმცა კელმეორ კაცნი მიუვლინსა და ეცყოდა რაჟამს კაცთა ადგილისა ამისათა არა უნდა მოცემად ჩვენდა ვსაგალი ვსაჲ, ჩვენთან ომი ვაძალეს. სალო ჩვენც შეწყვნითა ღუთისა ჩვენისათა ძლევეთა მათი სამკედრო ომის სამართლითა ადგილნი ესე ჩვენ დავიწყართ. რომელ მას აქეთ სამასი წელი იქმნებინ ჩვენ ავლით არის. და აწე შენ გამოსულსა ვინდა გამოიჯჯო კელთაგან ჩვენთა. ამისთვის მაგ შენი მოქმედებული უსამართლობის სჯაჲ თავად ღმერთთან ვიყოსო ეცყოდა: შემდგომ ვითარცა ისილა იეფთაი რამეთუ იგი სიჯეგასა ზედა თვისსა მდგომარე ცდილობს წინ წარმოსვლასა, მაშინ თავადცა ღუთისაგან აღძრულმან მესეულად გამოვიდა კელმეორ კვარი შემოიკრიბნა, და ჟამსა საომრად ვანსვლისასა ესრეთი აღთქმა უყო ღმერთსა რომე აღდეს ამონგლოთა მათ ძლევის შემდგომ არკი მშვიდობით მიიქცეს სახიდ თვისა, მაშინ რომელი ვინმეც წინა პირველად თვისი სახლითგან გარე გამოსული მას

მიეგებოს, იგივე ყე ღმერთს საღმრთოდ შესწიროს.
 ამ საირობით მივიდა იეფთაია. და შემწეობითა
 ლუთისა მტერნი შწარეთ მოსრსა, ქალაქიცა იუცა
 გელთაგან მოულო, და დანაშთნი იგი განაბნია გა-
 ნაგლტო. შემდგომ მასეფა ქალაქად სასით თვისსა
 მოიქცეოდის რა, იხილა თვისი საეფარელი ერთად
 ერთი ქალწული ქალი შვილი სსვა ქალწულ ქალ-
 თა თანა ზარქმსული სინარულით სამვიკის ღაკე-
 რით წინ მიეგება: მაშინ სილგითა მისა ეფთაი-
 დიდად აღშფოთდა. რომელმან ნამეცხანგი საღმო-
 ხისაგან სამოსი თვისი დაიპო და იცყოდა. ვან-
 შე, ვითარი უბედურება შეკითხა შე, რამეთუ უბ-
 ცრებთია ჩემითა შენ ლუთისათვის აღქმა მიქ-
 შნიეს. და აწე ზირობისა ჩემისა უკუ თქმა ვერ მალ-
 მიც: ხოლო ქალმან მან გულ მცნეობითა ზედ
 მიაჯანა უთსრა, ჩემთვის რაიჯ აღქმა ვიყოფიეს,
 ჭერ არს შენდა აღსრულებად. ვინათგან მით შენ
 ღმერთმან ვაგამარჯვებინა. ოლონდა ეცყოდა ამას
 ვითსოვ შენგან ორი თუშ მაცადო ღროება მომცე
 რათა მოუყასთა ამათ ჩემთათანა წარსული მათია მი-
 მოგლიდე, და ქალწულობასა ჩემსა გუიროდე გვლო-
 ობდე: ხოლო იეფთაიმანცა თქმულობისა შებრ მი-

სისა აცადა. და შემდგომად ორისა თვისა მოიქცა და აღასრულა ლუთისა მიმართ ქმნული აღთქმად თვისი. და მას მოღმაცა ჩვეულებად განდა ისრავლთა შორის, რამეთუ ყოველ წელს ღღესა ოთხსა ქალწულნი ქალნი ერთად შეკრებილნი ეფთაის ქალი შეიღწეოდ ვოდებას ვინა ელოვას იქმოდენ:

მას შემდგომ ეფრემის ვგარი ეფთაისედ მოჰურნენი ოორდანის მდინარით გამოსულნი მივიდეს მისა და ეულის წყრომით ეცყოდეს. რასათვის კაცად არ დამთვალე ჩვენ შენთან ბრძოლასა შინა არა მიწოდე ჩვენ? და ამას განსა ზედა ამინებდეს მას მეფეველნი, სასლკარს თავსე დაეაქცევთ ვარდაეწვაძით: ეფთაიცა მიუცებდეს მეფეველი. მე თქვენ ვისმე, ვარნა ვითარცა ვისილე თქვენ. განი არცა ერთი კაცი მომაგალი, თავი ჩემი მივეც განსაცთელსა. სოლო ღმერთმანც საქმე ესე წარმიმართა: შემდგომ იეფთაი ვითარცა იხილა უცხორომელობა მათი, რომელნი საქმეს ამლიერებდეს და ვალადელთ ეულის დასაწელუღავ სიყუვათა იცყოდის, სწრაფად მათსედ ჭარები გამოიყვანა და შემდეგ მიმაგალნი მოსწევიდნა, და მათგანნი განლცოლვილნი რომელნი ოორდანეს მდინა

ნარის ეელსა ერთსა განგლად იეზნეს, ცხასა მათის
 გასავლისასა შეაპურობინებდის, და ეამოცდისათვის
 მათი თუ ეფრემის ნათესავისაგანი არიან ასუ არა,
 მათ ათქმევინებდის ებრაულად ლექსსა ამასა შიშ-
 შოდეთ. რომელი ნიშნავს თავთავსა ჰურისასა. და
 რომლიცა ვერ შეუძლებდა სწორედ თქმასა, არა-
 მედ (ვითარცა იცევიან) სიშშოდეთ იცეოდის. იგი
 ეფრემის კაცთ ნიშანი იქმნებოდის, და მას ჰქელ-
 ემდენ. და ამითნ პრთლად მათგანნი ორმეოც და
 ორი ათასი სული გაწყდენ ბრძოლასა ამასა შინა:
 იფეთაია ესრეთ წელსა ექუსსა მსაჩულობის ქმნის
 შემდგომ მოკუდა რა, პერმედ მსაჩული ვასდა ე-
 სებონ ბეთლემელი. რომელსა მე სამეოცი ესუა,
 ოცდა ათი ვაჟი შვილი და ოცდა ათი ქალი შვი-
 ლი. და ეოგელნიცა ესე თავად კელითა თვისითა
 დააქორწინნა. და წელსა შვიდსა ისრაელთ მსაჩ-
 ულობა უყო: მას შემდგომ სჰდა ელონ საბულო-
 ნელი წელსა ათსა: შემდგომ აბდონ ფართონელი
 ეფრემის ცომისაგან. რომელსა ორმეოცი შვილი
 ევანდა. და მის ძენი ოცდა ათნი, და ეოგელნი ერთობ
 სამეოცდა ათ ვირზედ შესდებოდენ. და ესეცა შემდ-
 გომ წელსა რვასა მსაჩულობის ქმნისა, მოკუდა:

თავი მეათე.

მოთხრობა სამსონისა.

მსაჯ. ივ. იდ. იე. ივ: — წელი ჰაფხისა 2850:

გემოდ სსენებულ მსაჯულთ შემდგომ მენი ისრაელისანი ლუთის მსასურებისაგან მოსუსტებულნი წელსა ორშეოც ოდენსა უპაჯრონოდ დაძინებოდა კელმეორ უცხო თესლთ კელსა შთაჯგივდეს: მათ ღღეთა შინა შორის მეთა ისრაელისათა დანის ცოდისაგან კაცი ერთი ჰყიებდის მანუე სასელით. რომლის ცოლი ბერწ იყო შვილსა არა შობვიდა. და ღღესა ერთსა ანგელოზნი უფლისა გამოეცხადა დედაკაცსა ამას კაცის სასითა და ჰქრქვა მას. შენ შვილის შობად ხარ, რომელი ღმერთის უნდა შეეწიროს. ამის გამო გერძალე ღვინო ოცკა არა სუა, არცარა მიიღებდე უწმიდურ საჭმელებისაგან. და ოდეს მეე შვა თმანი თაგისა მისისანი სრულიად არა უნდა წარკუჭთნონ, და იგი არს რომელი გამოხსნად არს მეთა ისრაელთასა კელთაგან უცხო თესლთასა: მანუე რომელ არა უწყოდის საქმესა ამას. ვითარცა ესმა ცოლი

საგან. ეგვიპტის ღმერთსა მის წმიდა კაცისა გელ-
 შორ მივლენისათვის შათა. რათამცა კარვად გუ-
 ლის კმა ეონ თუ რაჲსა უყოფდეს ერმასა ამას:
 ღმერთმან კვალადცა გამოუხინა ანგელოზი იგი მას
 დედაკაცსა. რომელი იგიცა შეესვლად ვარბოდა
 მოუწოდა ქმარი თვისი მისთანა: სოლო ანგელო-
 ზმან მან ვითარცა ეთქვა ჰირველ დედაკაცისა მის-
 თვის, იგივე სიტყვანი ჰქრქვა შათა. შემდგომ მანუე
 ანგელოზისა მის კაცად მეონებელმან შწუარი თი-
 კანი შეართვა მას რათამცა ჭამდეს. მან არა ჭამა
 არამედ ღმერთს შესწირვო ეცყოდა. მაშინ მანუე
 თიკანსა მას სწირვედა რა ღმერთსა, ანგელოზი
 იგი აღითა მის ცეცხლისათა ანდა ზეცად უხილავი
 შეიქმნა. და ადვილსა მას ქმარმან ცოლმან სასწაული
 ესე ვითარცა იხილეს, ფრიად შეშინდეს. და ეულის
 კმა ეგეს მისი ღუთის ანგელოზად ეოფნაცა: შემდ-
 გომ ვითარცა აღივსნეს დღენი შობისანი, ქალ-
 მან მან გაყო შეილი შვა. რომლის სახელი სამ-
 ფსონ უწოდეს. და კურთხევა ღუთისა რომელ მა-
 რადის მას ზედ იყო, აღიზარდაცა კაცი ღონიერი შე-
 ქმნა. და თვისთი შობელთა თანა ერთად სარა და
 ესთაუღ წოდებულ ქალაქებს შინა ცხოვრებდის:

სამფსონ ერთ გზის წინა განგებულებითა ღუთისათა თამნათა წოდებულ უცხო თესლით ქალაქად მივიდა, და მუნ სიყვარული ეუღსა შინა თვისსა შთაიდგო ქალისა ერთისა უცხო თესლითა განისა. მოვიდა თვისთ მშობელთა ეცყოდა. რათა ქალი იგი მას ცოლად მიჰგვარონ. სოლო მშობელნიცა მისნი რომელთ არა იცოდეს რომელ საქმე ესე ღუთის მიერ არს (რათა მიზეზითა მით სამსონმან უცხო თესლით შინა შესვლითა მათს მოქმედებულს უსამართლობათა მაგიერი მიაცოს) პირველად მას წინ აღუდგეს მეცხეველნი. ნუ თუ შორის ნათესავისა შენისა ქალი არა მოიძვევის, რომელ მისვიდე უცხო თესლი შვირილი. შემდგომ ვითარცა იხილეს რომე სხვა გზა არ არის, იგიცა სამფსონთან ერთად განვიდეს წარსვლად თამნათა ქალაქსა ქალის ასაყვანად: ესენი მივიდოდეს რა ვზასა, სამსონ თავი აიღო მარჯოდ წარვიდოდის. და განვლასა ვენასთ შუა, ანაზდუულად ღებვი ერთი ლომისა მას წინ გარდაეყარა. სოლო სამსონსა კელს საჭურველი არა აქუნდა. არამედ ესრედ ღუთის მიერ ვაღონიერებულმან შეიწყრა ესე პირი ვაულო და ორად გაანო მოკლა. და კვლად მშო-

ბელთა მიმართ მიქცეული არას უთსრობდის მათ. და ესრეთ მივიდეს ქალთან სიტყვა. შეკრეს: შემდგომად მჯირედისა კვალად სამსონ მიიქცეოდის რათა მანათ ქალაქად ქორწინებისათვის, მივიდა მის მოკლულ ლომის მისასედავად. და ისილა მას შინა ფუტკართ თაფლი უქმნიათ. თვითაც გამოიღო იგი და დაიწყო ვსაზედ ჭამა ჭამით სლვამ. მამა დედასაცა მოსცა რათა ჭამდეს: რაჟამს ქორწინება დაიწყეს, რომელი შვიდ ღღეს გასძლებდა, უცხოთესლთ მისევან ეშინოდის. მის გამო მისთანა დაუყენეს ოცდა ათი კაცნი ახოვანნი რათა სამსონ ამათან მოყვასად ქმნული იშეებდის: ხოლო ჟამს მას ქორწინების მსიარულობისასა სამსონ გამოცანა ერთი უთსრა მათ. რომელ უკეთუშცა მას შვიდ ღღესა გამოიცნან იგი გამოცანა. მათ ოცდა ათი თოფი წმნიდა სამოსელი და ოცდა ათიჯ შესამოსი მოსცეს. აბა თუ გერ გამოიცნონ, მათ ამას მოსცენ ესე ზემოდ თქმული სანამღყო. და გამოცანა ესე იყო. მტანმედისგან სტმედი გამოვიდა, და ზღიერი სგან ცუბილი გამოვიდა: ამას საგანსა ზედა სამი ღღე იწვალეს ოცდა ათ ახოვანთა მათა და შემდგომ ვითარცა ისილეს რამეთუ ვერ კელეწიფების გამო.

თარგმნად იგი, მოვიდეს ფარულად რძლისა სამ-
ფსონისა მას შთაუარდეს, რათა მოაწყუოს ქმარი
თვისი, პირითგან დააცალოს და მათ უთხრას, თუ
არა ეცუოდეს, შენ სასლ კართა შენითა ვარდაე-
წვაეთა: ცოლმანცა სამსონისამან ვედრებით ცო-
რლით იგოდნად საქმეს ეცადა, ვოდრელა მეშვიდე
დღეს ღონე მიუწყდა პირისაგან წარმოათქმევინა.
და მივიდა მათ უაძა, რომელ შემდგომ ივინცა
მიექცეს სამსონს ესრეთ ეცუოდეს. თაფლზედც ცე-
ბიდი რაჲმ არს, ღოთისბანს უფრო დონიერ ვინ არს: მა-
შინ სამფსონ მაწყუარობა მათი გულის კმა ეო,
და თვითაც ამ სასით მათ მიუგო და შჩქვა. თუკითუძენ
დებუთლი ჩემი მჭიდრო უდელში არ შეგებნთ, გნმოცნანს
ჩემს ვერ იპოვიდით. და გულმოსულობით მის ეა-
მოვიდა მუნით ასკალონ ქალაქად წარვიდა, და ღუ-
თის შეწევნითა მუნ ოცდა ათი უცხო თესლთა-
განნი მოკლა. და ცანის სამოსი მათი გაძრო მოუ-
ცანა მათ მოსცა. შემდგომ ცოლიცა თვისი მუნ
დაადო. და თავათ გაწყრომილი სასლსა მამისა
თვისისა მიიქცა: შემდგომ ოდეს ჰავრძან ვარდ-
უარა სამსონსა, თიკანი ერთი აღიყვანა ძლუწნად.
და უნად კვლად ცოლთან წარსვლა და ვითარცა

იხილა რამეთუ სიძამრსა თვისსა ცოლი თვისი
 სსვასთან დაუქორწინებია, საქმე ესე მიზეზად
 დაიჭირა სამფსონმან, რათა რომე უცხო თესლა
 თაგან უფრო უკეთა შური იძიოს. ამის გამო მი-
 ვიდა სამასი მელი შეიპყრა. (რომელნი იმ ადგი-
 ლებ შინა მრავალი იქმნებიანო იტყვიან.) ესენი
 თრ თრი კუდებითგან ერთი ერთზედ მოაბა, და შუა-
 ში თვითო თვითო ანთებული ლამპარი დააყოლა,
 და იფერ განუტევა უცხო თესლთ შურის ყანებ,
 შინა. რომელნი მივიდეს ცეცხლი მოუკიდეს მო-
 სწვეს გაანაცრეს მათი ყოველი ყანა ჭალა, ვენახი
 და შეთის სილხი. სად არღარა დაშთა: მათ პატ-
 რონთა რაყამს ეულის ემა ყვეს ვითარმედ საქმე
 ესე სამფსონს უმოქმედებოეს. და მიზეზი სიძა-
 მრი თვისი შექმნილა. რომელს ცოლი წაურთმე-
 ვია სსვისათვის მიუტეგია, მივიდეს სასლსა მისსა
 ცეცხლი მისცეს, რომელი თვის ქალთანაცა ერ-
 თად სასლკართ დაიწვა. გარნა საქმეთა ამათ სამ-
 სონს საკმარისად არა შემრაცხველმან, კვალად სსვა
 მრავალი უცხო თესლნიცა ჰკლა. და შემდგომ
 მივიდა იუდის გვარსა შორის ედემ წოდებულს
 ქებასა ერთსა, და მუნ იმყოფებოდის: სოლო უც-

სო თესლთა მათ ესე ვითარცა ესმა. ჰარი შემო-
 კრიბეს და იფერ ბანაკითა იუდის გვარსედ მი-
 ვიდენ, და მათგან ითხოვდეს რათა სამსონ შეკ-
 რული კელსა მათსა მოსცენ: კაცნიცა იუდისანი
 შეშინებულნი სამი ათასი სული ერთოფ გამოვიდეს
 სამსონთან მოვიდეს და ეცუოდეს. რამ არს მოქ-
 შედებული ეგე შენი. ნუ თუ არა იცი რამეთუ ჩვენ
 უფლებასა ქვეშე უცხო თესლთასა ვარ, ამისთვის
 ჩვენ მოვედით რათა შენ შეკრული კელსა მათსა
 მივცე: სამსონ პირველად დააფიცა იფინი რათა არა
 შეიპყრან მოკლან. და იფერ აცადა მათ ვიდრე
 სამი ასალი მსხვილი საბლებითა შეკრან იგი და
 მოსცენ უცხო თესლთი ვარდარჩენ: რაჟამს სამ-
 სონ ესრეთ შეკრული უცხო თესლთი ბანაკად მი-
 ვიდა მიეხლა, და მათაც იწეეს სინარულით და
 ევირილით ზე მიტრა შესაყრობლად მისი, მს-
 ადგილსა ძალი ღუთისა შეეწია სამსონსა. რომელ-
 მან ერთობ შეიბერცა დაწევიცა საკრველნი იგი
 და მასვე ადგილსა აოვნა ება ერთი ვირისა, იგი
 კელს აღიღო მიიტრა უცხო თესლთ ზედა, და
 მით ათასი კაცი მოკლა: შემდგომ პრომისა ამისა
 სამსონს დიად მოსწყურდა. ღუთისაგან წყალი

ითსოა, ღმერთმანც მის ებისაგან წყალი გარდმო-
 უდინა. რომელი სვა და მით კელმეორ ვალან-
 ერდა: შემდგომ გამოვიდა სამსონ ვაზა წოდებულ
 უცხო თესლთ ქალაქად მივიდა. იგი ვითარცა გუ-
 ლის კმა ეგებს მუცერთა მისთა, მივიდეს მას ლა-
 მესა მის ქალაქის კარნი აართვეს. რომელი ვა-
 მოვალს თუ დილას ადრიოთ, შეიპყრან მოკლან იგი.
 გარნა სამსონ გამოვიდა შუა ღამისას, კარნი მის
 ქალაქისანი თვისი წყრთილებითურთ და ბოქლო-
 მებითა შეაძრო ზურგსე მოიკიდა და აიჯანა მთის
 წვერსე დაყარა. და იგფერ კელთაგან მათისა ვა-
 ნერინა: საქმეთა ამათა მოქმედების შემდგომ ვი-
 თარცა ისილეს უცხო თესლთ მთავართა რამეთუ
 სამფსონ თვისთ ქვეყნის დალილა წოდებულ ერთ
 ქალთანა შრავალ ვზის მივალს მოვალს. მასთან
 სიჯყვა შეკრეს რომე უკეთუ მოჯყუებით სამსო-
 ნისა მისი პირისაგან შეიჯყობს ათქმევინებს თუ
 ძალი მისი რომლითა საქმითა შეიკვრის, კაცის
 თავს გამოულონ ათას ასი ვეცხლის მარჩილი მას
 მისცენ, ამის გამო იმიერითგან დაიწყო ქალმან
 მან ცბილ ცბილი სიჯყვებით სამსონის უკან
 შთამოდგომა, რათა საქმესა ამას მას გაუმსელ-

დეს: სამსონ ჰირველსედ მას ჰრქვა, უკეთუშა
 შვიდ კეცი ლარიო მე შემკრან, ძალი ჩემი ჩემ-
 გან წარვალს. სსვა კაცებსავით შევიქმნებო: მან
 ქალმანც იფერ შეკრა იგი მარღვებითა მით. და
 შემდგომ გამოსაცდელად ეცყოდა ზასილითა. სამ-
 სონ აჰა უცხო თესლნი მოვიდეს ზედ დაეცსეს.
 (და მაშინ იგინი ფარულად დამალულ იყვნეს რა-
 მეთუ უკეთუ ნათქვამი მისა მართალი გამოდგება,
 ზე მიჭრილთა შეიპყრან:) სამსონს ვითარცა ესმე
 კმაჲ ესე, ერთობ წამოსცნა შეიბერყყა დაწყვიტა
 მარღვნი იგი. და გამოვიდა ნახა რამეთუ არა ვინ
 კაცი იყო. არამედ თვითარცა სუძრობა ეგონა. ამის
 გამო კვლად ეგედრა რა ცოლი მისი რათა მარ-
 თალს ეცყოდეს. ჰრქვა სამსონცა არა ეგრეთ, ა-
 რამედ უკეთუშა შვიდ კეცი ახალი მაგარი საბ-
 ლებითა შევიკრა, მაშინც ღონე წამერთმის შევიპ-
 ყრობივ ეე: ესეცა სცადა ქალმან მან. და რაჟამს
 ისილა რამეთუ მითაც არ იქმნა, კვლად ეგედრა
 ეჟა რათამცა სწორეთ უთხრობდეს: სამსონ
 კვლად მასხარობით ეცყოდა ვითარმედ უკეთუშა
 დაქსოვო შვიდი ესე კონძოლი თავისა ჩემისა სა-
 ეუგალსა თანა. და დამსჭვალო მანებითა კედელ-

სა, და მაშინლა მოუძლურდე მე ვითარცა ერთი
 კაცთაგანი: დალილა საქმისა ამის გამოცდის მერ-
 ჟეცა, ისილა რამეთუ იგი მარადის მას ეცრუა. მას
 მოღმარცა ეოვლითა ძალითა დაიწყო უკან შთამოდ-
 გომა ლაქუცობა. და ივოდნად ეცადა ვიდრეღა ღონე
 გაუწყდა სამფსონსა გერღა უძლო. პირითეან წარმო-
 ათქმევიანა და ჰრქვა. იცოდე მე მუცლიდგანვე დე-
 დისა ხემისა ღუთისათვის შეწირულ ვარ, რამეთუ
 თავსა ხემსა სამართებელი არა უნდა შეეკოს, და
 უკეთუ თმანი ხემნი მომპარსონ, ძალიცა ხემი ხემ-
 გან წარვალს და შევიქმნები ვითარცა ერთი კაც-
 თაგანი: მაშინ ჰრქმენაცა დალილას და ეცუოდა,
 აწე ნათქვამი შენი ჭეშმარიტ არს, ამის გამო სწრა-
 ფად უცხო თესლთ მთავარნი ფარულად სახლში
 ისმო. რომელ ივინიცა მივიდეს თან წაღებით მის-
 და მისაცემი თეთრისა. და თავად სამფსონის მო-
 ცუეებით მიიქვა იგი კალთაზედ დაიწვინა დაამი-
 ნა. და მიღსა მას შინა თავი მოპარსა. და მით დაი-
 წყო სამფსონ მოუძლურება დასულებება:

შემდგომად მოქმედებისა ამისა რაჟამს დალი-
 ლა უხმაურა მეცუეველმან, სამფსონ აჰა უცხო თე-
 სლნი მოვიდენ ზედ დაეკსნენ, სამფსონ გამოი-

ფიხიზლა. უნდა ერთობ წამოხტნეს აღსდგეს, გარნა იხილა რამეთუ ძალი იგი ღუთისა წართმევია და ვერ ძალუც მოძრად, ამისთვის სწრაფლ მივიდეს უცხო თესლნი იგი შეიპყრეს თვალნი დათხარეს, და რკინების საკრეველითა შეკრული გასა ქალაქად მიიყვანეს. და მუნ ვითარცა ცევე წისქვილზედ დაადგინეს რათა ფქვიდეს: შემდგომად მკირედისა კელმეორ დაგრძელებასა სამფსონის თმათასა, მისით ჰირველი ძალიცა მოეცა რა მას, უცხო თესლთ უხუცესნი თვისთ დავონ წოდებულ კერანის დღეობასა დიდსა ეოფდეს ჭამითა სპითა და სინარულითა, რომელმან მცერი ჩვენი სამფსონ კელსა ჩვენსა მომცაო იცყოდეს. და ოდეს განცხრომასა ამასა ეოფდეს თვისთ ცოლებითა შეილებითა და ურიცხო სიმრავლითა: ალაჯსა ერთსა დიდსა, ზევით და ქვეით სავსესა, უნდა სამფსონისაცა მუნ მიეჭანებად, რათა წინაშე მათსა იეფერ უთვალო ბრძულად თამაშებდეს სამასხაროდ, და ეული მათი უქვესცესად მას ზედ გრილდებოდეს: ხოლო სამფსონცა ესრეთ თამაშის მერმე მივიდა მის ალაჯის ორს სვეცთანა. რომელთ ზედა ეოველი შენობა იგი იყო დამყარებულ. და ღუ-

თისა მიმართ მღალადებელმან სთქვა. უფალო ღმერითო ძლიერებათაო, მოპისსენიე მე, და ამ ერთ უზისაჲც მომეც მე ძალი. რათა ორთა თვალთა ჩემთასა შური ვიძიო უცხო თესლთაგან: ანმას ილოცვიდა. და ორივე კელი მოსდგა სვეცთა მათ. მეც მოგუდე უცხო თესლთა ამათ თანა მეცყველმან ზეგერ ძლიერად გამოუყარა სვეცნი იგი მოვლინა ერთობ, ვიდრელა ზედ დაწვინა ყოველი შენობა იგი. და თვისა თანა ერთად მას შინა შეოფი ყოველი უცხო თესლნი მოსწყვიდნა. სად ღიდი თუ აჯარა სამი ათასი სული იყვნეს. და ამით სამფსონ სიკვდილითა უმეცესი კაცი ჰკლა ვირემც სიჯოჯსლის ყამს: შემდგომ მონათესაგენი მისნი მივიდეს, გვაძი მისა მუნით აღიღეს, და თვისთ ქვეყანასა საფლავად მამისა თვისისა წარიღეს დამარხეს. რომელმან წელსა ოცსა ისრაელთ გამოვლილი შეწყუსებაჲ შეუძსუბუქა. და ამით თავადცა რიგსა შინა მსაჩუღლთასა შეირაცნა:

თანვი მენტეერთმეტე:

მოთხრობა მიქაისა. და ბენიამინის ცომის
გაწევიცა:

მსაჯულთ. იმ. იმ. ით. კ: — წელი ქვეყნისა 2585:

წიგნსა შინა მსაჯულთა სამფსონს შემდგომ
სსგა ორიცა მოთხრობა მოითხრობგის, რომელი
მოხანს რომე ისუს სიკვდილს მერმე არა განვლეს
პრავალთა წელთა ივინი მოსვდა:

პირველ. რომელ მისა წოდებულ კაცმან ერ-
თმან ეფრემის ცომისაგან ზომას ნამეტნავ ეინა
ცულ მორწმუნებითი სამსასურითა გვეცლისაგან
კერასავით რამ შექმნა სასლსა თვისსა დასლო. და
ლვეციველი ერთი პოვნა მიიყვანა და მას უძღუ-
დლობდის: ჟამსაცა ერთსა დანის ნათესავსა თვისთ
ადგილთ მჭიდროობის გამო, სუთი მეთვალენი
წარვეზავნათ. რათა წარვიდეს მიმოვლოს მოსა-
პოვნელად სსგა ადგილისა რომელ შინა დაემკვი-
დრონ. ესენი ვიდოდეს რა ეზასა. გარდეთარნენ
ლვეციველსა მას რომელი სასლსა მისასსა იყო.
და მის მიერ ღმერთს შეჭკითხეს და ეულის კმა

ეგეს წარსართება საქმისა მათისა: რაჟამს ამით
 მისულთა საქმე გაირიგეს, ექუს ასი სული ერთად
 შეერთებული გამოვიდნენ. რათა მივიდნენ ლაისა წოდებული
 ქალაქი კელთავან უცხო აესლთასა მო-
 უღონ მუნ დაემკვიდრონ, კელ მეორ მივიდნენ ლე-
 ვიჯელი იგი თვისი ზომას ნამეტნავი ცუდ მორ-
 წმუნებითი სასამსახურებელი რაიმებითურთ გა-
 მოიტაცეს სასლისაგან მისასი, აღიღეს თავიანთ თან
 ლაისა ქალაქად წარიყვანეს, რათა მუნ ცალკედ
 მათ უმღუდლოს. და ქალაქისა მის სასელიც გამო-
 ცვალეს, და დასდგეს: და იმ ყამითვან ზომას
 ნამეტნავი ცუდ მორწმუნებითი სამსახური ესე მუნ
 დაძთა ვიდრე ყამადმდე ერობოვამ ისრაელთ მე-
 ფისა, რომელმანც თვისი შექმნიული ორი ოქროს
 კბოთავანი ერთი მუნ აღმართა. ვითარცა მოთხრო-
 ბად ვართ თავის აღვიღოს:

მეორედ წყვეტა ბენიამინის ნათესავისა მოით-
 რობების რომელი მოსგდა მიზეწითა დედაკაცისა
 ერთისა ლევიჯელისა. ასრე რომე ოდეს ვაბაა
 წოდებულ ბენიამინის ქალაქის უსარგებლო ბო-
 როცთა კაცთ დედაკაცი ესე ეანკიცხვით ჰკლეს.
 ქმარმანცა მისმან მკვდარი იგი ათორქმევ ნაკვე-

თად ქმნა, და ისრაელთ ეოველს ნათესავსა იქიდ-
 გან თვითო თვითო ნაკვეთი ეაუგზავნა. რათა ნა-
 სონ, და სამართალი მისი მათ გარდუჭრან: ბენი-
 ცა ისრაელისანი უმჯულთებსა ამას ზედა შეპრ-
 წოლებული, მოვიდეს ერთად განსრასვას ეოფ-
 დეს. და კაცნი მიაგლინეს ბენიამინთა მიმართ რათა
 ძვირის მოქმედნი იგი მივიდენ შეიწყრან ჰკლან.
 გარნა ბენიამინნი ესარხლოდეს ძვირის მოქმედთა:
 მათ. და ღაიწყეს ამათ პირდაპირ ბრძოლის სამ-
 ზადისიუცა ოცდასუთი ათას შვიდასი. მარჯვე შეომარ
 კაცთ ეამოყვანიოთ: ამას საგანსა ზედა საქმე გაც-
 სარდა. ამისთვის აქეთურ მკარეთაუცა ოთხასი ათასი
 კაცი შემოკრიბნეს, და ღმერთს შეეკითხეს ბრძა-
 ნება მიიღეს და იგვერ ბენიამინის ნათესავს ზედა
 განვიდეს: პირველს დაჯაკებაზედ ოცდა ორი ათასი
 ისრაელთავანნი მოსწყედეს. ამას ზედა თუეინდ ეუ-
 ლი მათი გაცედა, მაინც კვალად ღმერთს შეჰკით-
 ხეს, და იგვერ კელძეორ დაეჯაკენეს რა, და რვა
 ათასი სულიუცა არკი წარწყმიდეს, მაშინლა მარ-
 სულობით, მსხვერპლის შეწირვით, ეტვი შვი-
 დენ, ეგედრეს ღმერთსა, რათა მათ განუცხადოს,
 ნუ უბვი შეებანცა კვალად, ანუ დაცხრნენ: ღმერ-

თმანცა ჰირითა ფენეჭეს მღუდელთ მოძღურისა უბ-
 რძანა. განგედით ნუ გეძინისთ. რამეთუ სვალე იგი
 ყოველი კელსა თქვენსა მივცეო, ეცუოდა: და იუო-
 დღესა შეორესა ოცდა სუთი ათას ასი სული ბე-
 ნიაძინის ნათესავისაგანნი მოსწევიდნეს. და შემ-
 დგომ ებაა დედა ქალაქად, და სხვა მათ ყოველ
 დანაშთ ქალაქთაჲცა შინა შევიდენ დაუხოვეველად
 ყოველნი მოსრნეს ქალიდგან ემაწვილადმდე ჰი-
 რუცევებითურთ მათითა, რომელთა შორის არა რაჲ
 გარდაჩნა. და შენობასა მათსაჲცა ცეცხლი მისცეს
 განაჯრეს, იფფრად ვიდრელა ნათესავისაგან ბე-
 ნიაძინისა ექვსასი ასოგანნი სოლო ძლივს ემელა
 თავითა ადვილსა ერთსა აუღებელსა განლცოლვი-
 ლი შთაგარდეს, რომელ კლდე რემონისა ითქმო-
 და: შემდგომად ესოდენითაჲცა ვერ განძობილ ის-
 რაელთა, უმეტესად თავ ეაცხარებულთა უნდათ საგ-
 სებით ახვნა ქვეყნისა ამისაგან მის ნათესავისა. ამის
 გამო ერთი ვასდეს, ლუთის წინაშე ფუცვიო აღ-
 თქმა ეგეს რათა მას დანაშთ ექუსას სულსა არცა
 ერთიან კაცმან მათგანმან ქალი მისცეს: ესრეთ
 ძენი ისრაელისანი ზომას გარდასულნი, შემდგომ
 თავს მოექცეს შეინანეს ქმნულ ფიცსა მას ზე-

და. და მისი წამალი ესრეთ იხრახეს, ვითარმედ
 იაბის ვალაიადის კაცნი მოსწონ მათ ქალწულ ქალთ
 ვარდა, და იეინი დანაშთ ბენიამინის ვაჟ კაცთა შერ-
 თონ. რომლით ნათესავი იგი დაშთეს არა წარწ-
 უმდეს, ამიტომ რომ ყოველ ისრაელთა შორის
 აბისელთ სოლო თავი გამოელა მას ბრძოლასა
 შინა არა იყვნეს მისულ, ვინათვან ფუცვით დაშ-
 კიცებულ იყო, რათა ყოველნი მივიდეს: შემდგომ
 მად ვითარცა ისილეს რამეთუ იაბისესა შინა ით-
 ხასი ქალწული ქალი სოლო გამოვიდა, რომელი
 არა კმა იყო მის ბენიამინის ვაჟ კაცთათვის. და
 ნაშტი ორასიცა სელოვ ქალაქიდვან სსვა გზით
 გამოასსეს მათ მოსცეს. და ამით ნათესავი ბენი-
 ამინისა კელმეორ ფერჯსედ დაყენეს:

თავი მეათორ-რმეტე:

მოთხრობა რუთისა:

წელი ქვეყნისა 2700 ოდგნ:

უამსა ისრაელთ მსაჯულთასა, და ვითარცა მო-
 ჩამს დასაბამოა, რუთისა ამის საქმე იქმნა. რომელსა
 მსაჯულთ შემდგომ საცალკეო წიგნით მოსთხ-

რობს, რომელი დავით წინასწარმეტყველის მამა
 ჰაჰათა რევით იტყვის, უფროსი ერთი იესო ქრის-
 ტეს მესიის ნათესავსა კორციელად. რომლით
 მისს ნათესავთ რიცხვსა შინა რუთსაცა ისენიებს
 მასარებელი:

ისრაელთ ქვეყანასა სიემილი დიდი შთავარდა.
 და მიწეწითა მით ელიმელემ წოდებული კაცი
 ერთი იუდის გვარისაგანი რომელი ბეთლემად ცხო-
 ვრებდის, მან კაცმან აღიყვანა თვისი ნოომის ცოლი
 და ორნი ძენი მოვაბელთ ქვეყანას მივიდა მუნ საც-
 ხოვრებლად: არა ვანგლო შრავალ ყამან მოკუდა
 კაცი ესე. შემდგომ ორნიცა ერმანი იგი მუნ დაქორ-
 წინდენ მოვაბელთ უცხო თესლთ ქალნი შეირთეს,
 ერთის სასელი ორთა, და მეორისა რუთ: შემდგო-
 მად ათი წლისა ორნივე ერმანიცა ესე უშვილოდ
 მოკვდეს. სოლო ნოომინ დედასა მათსა ვითარცა
 ესმა ისრაელთ ქვეყნისაჲ ვასწორება, უნდაცა სმა-
 ლთა მათ თავისთ სასლში ვასტუმრებად, და თვით
 თავი გამოიღოს ქვეყანასა თვისსა მიიქცეს: ნმათ-
 ვანი ერთი როვორც იყო წარვიდა. ვარსა ჰრუთს
 არა ეშველა დედამთილსა თვისსა არ მოსცილდა.
 და ეტყოდა, მე შენგან მსოლოდ სიკვდილმან უნდა

ცამყაროს, სადაც შენ სვიდოდე მეც შენთანა ვარ. ნათესავი შენი ნათესავი ჩემი არს, და ღმერთი შენი ღმერთიცა ჩემი არს: და ესრეთ ნოემის აღიყვანა ჰრეთი რძალი თვისი ბეთლემად მიიქცა. სად ელი-მელიქის მონათესავე ბოიას წოდებულ იყო, მუნ მან ნოემისს სედა კელი დაფარა უნაჯრონა ადგი-ლი მოსცა შათ დასამკვიდრებელი: მაშინ ყანობი-ლთა შინა ოდეს ჰურსა სთიბდეს, ჰრეთი სთსოა ნოემსა, რათა მივიდეს ყანებ შინა სამუშავებლად, და მით სარხო ვაჩინონ თვისი ელახაკობისა იც-ნოვრონ. და იეფერ მივიდა ბოოსის ყანის სათი-ბლად: ბოოს ვითარცა ეულის ემა ეო ჰრეთი ნოე-მის რძლობა, საცალკეო მოღვაწობა გამოაჩინა მას სედა, და თვისთი ასულთა თანა დაადგინა რათა ერ-თად ჭამდეს. და მუშაკთ დაუბარა მისი უკეთ თვა-ლიერება, და ჰურის დანაშტო თავთაგებიც მას დაუ-ცეონ, უკეთუმცა უნდეს შემოკრიბოს სასლში წა-რიდოს: ჰრეთი რაყამს მომკვისაგან სასით მოქ-ცა, მიუთსრა დედათილსა თვისსედა ქმნული მოღ-ვაწობაჲ ბოოსისაჲ. მასაც ფრიად უხაროდის, და ეზა უჩვენა ჰრეთსა ბოოსოს თან დაქორწინებისა, ვინათგან იგი მონათესავე არს რა ელიმელექისა,

ეგრეთ შესაძენი არსო, ეცუოდა: და ესრეთ აღ-
 დეს ბოიოს გულის კმა ყო ფიქრი ჰრუთისა, უა-
 რსა არა ეცუოდა. ვარსა გინათვან მას ზედ უფრო
 ასლოს ელიმელექსა სსვა მონათესავეც ვებნდა,
 ზირველ მას ერგებოდა ჰრუთის აევანა. ამის გამო
 ბოიოს საქმე ესრეთ აწარმოვა, რათამცა რიგსე
 იყოს: რამეთუ მაშინ მის ქალაქის მოსუცებულნი.
 ერთად შეყარა, წინაჲმე მათსა ეცუოდა მეორე მო-
 ნათესავესა მას, ვითარმედ ნოემინ ქუჩსრივსა ელი-
 მელექისასა თვისი ქრმისაგან დანაჲთ ადგილთ ერ-
 თი ნატერის განსყიდვა უნდა, ზირველ შენ გერგება
 მისი სყიდვა. თუ არა, შე მოვისყიდო. შემდგომ
 ამასაც ეცუოდა. იცოდე მის ადგილის მსყიდავი
 რძალისაჲცა მისი ჰრუთის აევანად არს, რათა მუნით
 მომკვდარსა მას შემკვიდრე დაუცეოს: ამის სმე-
 ნითა კაცი იგი იმერთი მონათესავე უკან დეა. შენ
 იყვანეო, ეცუოდა: მაშინ ბოიოს მოწმათ დატერ-
 ითა მოსუცებულ კაცებისა მის და მუნ მეოფე
 ყოველი ერისა ჰრუთ თვის ღვიძლ ცოლად შეირ-
 თო, რომელთა ზედა ყოველნი კურთხევეითა კურ-
 თხევას იცუოდენ. და ღმერთმანც კურთხენა იგი-
 ნი, და არა განვლო მრავალ კაშმან შესძინა მათ

შვილი, რომელს სასელი ობედ უწოდეს, და მის-
გან იშვა იესესე დავით წინასწარმეტყველის მამა:

თავი მეათესამეცე.

ლოცვითა ანნასი სამუელ იშობების, და ღმერთს
შეეწირვის:

ნ. მეფეთ. ნ. ბ: — წელი ძველის 2848:

ელი რაჟამს ისრაელი მღუდელთ მოძღვრო-
ბას უყოფდის, რომელმან შემდგომ მსაჯულობის
ქმნაც დაიწყო. მაშინ ელკანა სასელით ღმერთს
ერთი იყო არიმათემ ქალაქად, რომელს ორი ცო-
ლი ევანდა, ერთის სასელი ანა. და მეორისა ფენ-
ნანა. ანა ბერწ იყო შვილს არა შობუნულობდა, და
ფენნანასა მენი ესუა. ამის გამო ამას საგანსა ზედა ან-
ნა მარადის სწყუსდა: ელკანა ჩვეულ იყო, რომელ
ერთ გზის წელიწადში ცოლებსა და შვილებსა
ალიყვანდა ალქმასზედ წარვიდოდა სელოვ ქალა-
ქად წინაშე ალქმის კიდობნისა ღუთისა: ერთ
გზისაჲც რაჟამს ესრეთ ალქმისათვის წარვიდეს,
და ელკანა ღმერთს შესაწირავის შემდგომ ჭამად
ჰქდა რა, ფენანასა და მის შვილებსა ერთად კერძი

მისცა. და ანასაჲცა ცალკედ ერთი კერძი მისცა. სოლო ანა იფეერ მარცოდ მჟღომარე არკი სტა მდის, მოაგონდაცა კელმეორ ბერწობა თვისი, და დაღონებული ოსრობდის. თუ გინდ ელკანასა ანასა სედა ნამეტნავი სიყვარული აქუნდა რა, მას გულს დაუდებდის და ეტყოდის. ნუ გეძინინ. ვიდრემდის მე გოცხალი ვარ ათ შვილად ვიღირდე მეო. ვარნა შეუძლებელ იყო ანასა საქმე ესე დაევიწყა: ამის გამო შემდგომად ჰურის ტამისა ანა მარცოდ ვასული მივიდა წინაჲ ბტესა ლუთის ტამრისა და ვარდა, და გულის სიღრმიდგან ტირილით იწყოლოცვად ვედრებდა ლუთისა მიძართ, რათა იგი შეიწყალოს შეე ერთი მოსცეს, და აღოქმა ქმნა მის მისაჲცა ლუთისათვის შეწირვად: და ჟამსა ლოცვისა ამისსა ჰირი ანასა არა იღებოდის, არამედ გულით თან მოქმელი სულთ ითქვემდის. ამის გამო ელი მღვდელთ მოძღვარძან რომელი მუნ ჰდა საქმის უმცოდინარებით, ვითარცა ისილა ანა ვანგრძობილად მუნ დაიყონებს იფეერ, ეტგში შევიდა რომე დამთვრალი არისო, ამისთვის ყრმა მიუეცავნა რათა მივიდეს ამხილოს ვანადოს იგი მის წმიდა აღვილითვან: ანასაჲცა სიმდაბლით უნასუსა და ჰრ

ქვა, ნუ იყოფინ მე მოგრალო არა ვარ. არამედ
საღმობით საგსე დედაკაცი ვარ, რომელი წინაშე
ლუთისა მოგსულ ვარ ჩემი გულის სიმწუსრის ამ-
ბავს ვეცხვი: ელიცა მაშინ მას ეცყოდა, უკეთ-
უმცა ეგრეთ არის მშვიდობითამცა წახვიდე, და
ღმერთმან სათხოვარი ევე შენი შეგისმინოს: და
ამით ფრიად სუგეშინისცემულ იქმნა ანა, და ოდეს
მუნით მიიქცეს სასით თვისსა არიმათემად, ანა
მუცლად ილო გაყო შეილი შობა, და სახელი მისი
სამუელ უწოდეს, რომელ თქმა არის ლუთისაგან
თხოვილი: მას შემდგომ ანა ქრმისა თანა თვი-
სისა სელოვად არღა წარვიდა, ვიდრემდის ერმა იგი
მცირე ერთი აღიზრდა, და რძითგან მოსწყვიტა.
მაშინ აღიყვანა მღუჭნებითა სელოვად მიიყვანა იგი,
და მამამან საღმრთოს შეწირვითა იგფერ ღმერთს
შესწირეს, და ანა ერმასა მას ელი მღვდელთ მო-
ძღვრის კელსა მოსცემდის რა, ეცყოდა, უფალო
ჩემო, მე დედაკაცი იგი ვარ, რომელი ერთ დროს
შენ თვალ წინა წინაშე ღმერთსა ვევედრე ერმისა
ამისათვის, და ღმერთმან სათხოვარი ჩემი აღმის-
რულა. აწე მეც ვითარცა აღუთქვი ღმერთსა ამას
მას მივასესხავ შევსწირავ: შემდგომ ანა მის სა-

წინასწარმეტყველო მადრიელობის კურთსევის ქმ
ნით ღუთისა, რომელი დაიწყოების განბლიერდა ვუ-
ლი ჩემი უფლისა მიერ. მუნ დაუტევა სამუელ. და თა-
ვად ელი მღვდელთ შთაგრის კურთსევის მიძღები
ქმრისა თანა სასიღ მიიქცა: ღმერთმანც აკურთსნა
იგი, და სამუელის მაგიერ, კვალად სსვა სამი გა-
ჟი შვილი და სამი ქალი შვილი მოსცა მას: გარსა
თვით ყოველ წელს სელოვად მისული სამუელს
არა დაიგიწებდის, მარადის მას სამოსელს შეუქ-
მნიდის წარუღებდის: ხოლო სამუელ იფგერ ერ-
მობითვანგე დაიწყო ღუთის სასლის მსასურება,
და დღითი დღე უცოდველობით აღზრდილი, არა
ღუთისა ხოლო, არამედ ერისაცა საყვარელ იყო:

თანვი შენთო-თხმეცე:

ელი შვილებითურთ თვისითა ირისსების
მღუდლობითვან შთამოგარდების, და ადგილსა
მისსა სამუელ გამოირჩევის:

ნ. შეფეთა. გ. დ. ე. — წელი ქვეფნისა 2860.

ელი მღუდელთ მოძღუარსა მკა ორი ესვა, ერ-
თის სახელი ვოფნი ითქმოდის, და მეორისა უფ-

ნეჭეს. ორნივეცა ესე თვისთა მამის უფლებასა ქვეშე
 მღვდლობას უყოფდის ისრავლთა წინაშე ღუთის
 აღაქმის კიდობნისა, საღმრთოებსა მათსა შეწირ-
 ვიდეს, და სსვა წესთა ღუთის მსახურებათასა აღა-
 სრულებდეს. ვარნა თიგსი დამაბრკოლებელი ბო-
 როტი საქმებითა ერის გულს დასწვემდეს რა, ამის
 გამოცა ღმერთი ფრიად გამწყრალ იყო მათ ზედა-
 ელისა თუ ვინდ ურიგობა ამათი მარადის ესმოდა
 იცოდა, ვარნა ვითარცა საჭირო იყო საქმეთა ამათა
 წამალს არა დასდებდის და არა ჭრისსვედის მათ. არა
 მედ უნაღვლელობის ერთი ლბილის წურთვითა გა-
 ნივლიდის შეცუველი. შეილნო ჩემნო, თქვენსედ
 კეთილი არა მესმის, რანდ ეგრეთ მოიქცევით, და
 სსვაც ამისთანა. და ივინიცა თავიანთსას არა დასთ-
 მობდეს: ამისთვის ღმერთმან ელის ზედა ფრიად
 გაწყრომილმან ანგელოზი ერთი მიუგლინა, რო-
 მელი მოვიდა მწარედ შეჭრისსნა იგი თვისთა მეთამა
 მოქმედებულსათვის, და შიში შთაუგდო მას შეც-
 უველმან, ვითარმედ აღსვანდ ვარ სახლისაცან შე-
 ნისა და აღსოცვად მღვდელთა მოძღურობისა მა-
 გის შენისა, და მიცემად ვარ სსვა მორწმუნე მო-
 ნისათვის ჩემისა. ვინათვან მაღლისა ამის ჩემისა

უმაღურიმცა შეიქმენ. და ნიშნად საქმისა ამის ესე
ყოფად არს რამეთუ ვოფნი და ფენეჭეს პენი შენნი
დღესა ერთსა დაეცეს მოკვდეს:

შემდგომი საქმე ესე სამუელს გამოუცხადა.
რაჟამს იგი ერმოზიდგან ჯამარსა შინა იწვა. და
შესა ერთსა ანაზდეულად ემა მოუვიდა ყურსა,
რომელი მას უსმობდა, სამუელ სამუელ. მასაც
რა ევონა ვითარმედ ელი იმიერ მას უსმობს, აღსდგა
შირბოლა მისთან და ეცყოლა. აჰა ესე რა მოვედ რაჲ
ენებავს? ელიოცა ეცყოლა, მე არა სადა ვიწოდე შენ
ქეო ჩემო, მივედ ადვილსავე შენსა დაწე: ესრეთ
სამ გზის იყო რა, სამუელ შირბოლაცა მასთან. მაშინ
ელი მიხვდა რომე ღმერთი აღთქმის კიდობნით
მას უწოდსო, ამის გამო შესამე გზის ასწავა სა-
მუელსა და ჰრქვა, უკეთუმცა კვალად მოუწოდოს
იგი, მანც ჰრქვას, უფალო რაჲსა მიბრძანებ მე
მონასა შენსა: სამუელ ემორჩილა. და მეოთხე
გზის რაჟამს მოუწოდა, იგფერ ეცყოლა ივიცა,
და მაშინ ღმერთმან გამოუცხადა მას საქმე, და
ეცყოლა, თუ ვითარ ფრიად გაწყრომილ არს ე-
ლის ზედა მიწეწითა შეილთა თვისთასა, რო-
მელსა ივინი არა უმსილებიეს არ დაუგვალბი-

ეს, მის გამო სსვა ესა არ არის მინდა იეინი მწა-
რედ ვრისსო მღუდელთ მოძღვრობა კელთავან
მათთა მოულო ეცყოდა: რაჟამს განთენდა სამუე-
ლსა შექინებულსა არა უნდა ლუთის ნათქვამთ ე-
ლიისათვის მითხრობად. ვარნა იეოდნად აიძულა
ელი იგი, რომ ძლივს პირისაგან წარმოათქმევინა.
და ვითარცა ესმა ელისა თქვა. ნება უფლისა კურთ-
ხეულიძეც იყოს. და მაინც მითაც არა გამოფსი-
ზლდა. ეგრეთვე შეილნიცა მისნი თვისთ მოქმე-
დებულისაგან არა უკან დგეს: ხოლო ღმერთმან
იძიერთვან იწყო სამუელისა თანა ქმნად შინაუ-
რობისა, ნებისა თვისისა მისა გამოცხადებით. რო-
ძლით სასელი სამუელისა დლითი დღე ეოველ
ისრაელთა შორის განითქვა, ვითარმედ იგი ლუ-
თის საყვარელი და მორწმუნე წინასწარმეტყველი
არს: შემდგომ ღმერთმან მის ელი მღვდელთ მოძ-
ღვრის განრისხვად რომ იყო, მიუშვა უცხო თეს-
ლნი ისრაელთ ზედა საბრძოლელად. და პირველს
დაცაგებასა ზედა იხილეს რა ისრაელთა დამარცხება
თვისი, რომლით ოთხი ათასი სული მათგანნი მო-
სწყედეს, უნდათ ლუთის კიდობნის ბანაკად წაღება,
რათა მით ღმერთმან მათ შეეწიოს: და ესრეთ სელო-

ვით კიღობანი იგი აღიღეს ხანაკად მიიტანეს ვო-
 ფნი და ფენეჭეს მენი ელისანიც მისთანა. მაშინ
 ვითარცა ესმა უცხო თესლთა ისრაელთ ერის კმი-
 საგან მოსვლა კიღობნისა, შიში დიდი დაეცა გულისა
 მათსა. და იცუოდეს, ვან ჩვენ რა მეშველება, ვი-
 ნათვან იგი ისრაელთ ღმერთი მათ შორის მოვიდა,
 რომელმან ვიდრე აქამოდე ყოველი მტერნი მათნი
 მახრნა წარწყმიდნა: ამისთვის ერთი ერთის გულის
 დადებით იგფერ სასო წარკვეთილობით დაიწყეს
 რა ისრაელთა თანა ბრძოლა, ღმერთმან იგფერ დაარ-
 ეცა რამეთუ ოცდა ათი ათასი სული ისრაელთაგანნი
 გაწყვიტეს ვოფნი და ფენეჭეცა მათთან. დანაშვი-
 განაბნიეს განაფლტეს. და კიღობანიცა ღუთისა დატ-
 ყვევებული თვისთ ახოვოს ქალაქად წარიღეს:
 ხოლო საქმესა ამას სედა მუის კაცნი ერთი შესა-
 მოსთ დანობილი თავს ნაცარ ვარდაყრილი განი-
 ვლტო სელოვ ქალაქად რათამცა უამბოს საწყ-
 ლობანი ესე. მაშინ ელიცა მოსუცებული ოთხ-
 შიოც და ათ რვამეტი წლისა რომელს თვალთ ნა-
 თელიცა წარწყმიდა, სახლის კარის წინ სკამსედ
 მჯდომარე მოელოდის და გული ეწოდის კიღო-
 ხანსა სედა. და ვითარცა ესმა კაცისა ამისაგან მუნ

მისულისა ბრძოლის საქმის მარცხად წარსვლა, თვისი ორივე მისაც სიკვდილი, და ლუთის კიდობნის დატყევება, ნამეტნავი სიმწარისაგან ცანცითეან გარდაგარდნილი ვულაღმა დაეცა, და წელის ძვალი გაუტყდა მოკვდა: მას შემდგომ ცოლიცა ფენეჭესი, რომელი მათ დღეთა შინა ახლოს იყო შობად შეიღისა. იგიცა თვისი ქრმის სიკვდილის მსმენელი შეიპურა საცვიგარძან ერთმან, და შეიღის შობასა შინა საწყალობლად მოკვდა:

თანვი მეათესუთმეცე:

უცხო თესლნი მიზენით მის კიდობნისა ირისსებთან, და მას კელმეორ ისრაელთვე მოსცემენ:

ბ. მეფეთა. ვ. ზ. ც. — წელი ქვეყნისა 2888:

მათ უცხო თესლთა რომელ კიდობანი დაატყევეს ახოვცად წარიღეს, იგიცა თვისთ დაგონ წოდებული კერანის ცამარსა დასდგეს. და რაჟამს მეორე დღეს დილას ადრე აღსდგეს ცამრად მივიდეს, ისილეს კერანი იგი დაგონ კიდობნის წინაშე პირქვე ქვეყნად დამხოზილი. მის გამო აღიღეს

მრხობლ თვისავე ადგილს დაადგინეს. ვარსა მე-
 ორე დილასაც მივიდეს ნახოს რამეთუ დავონ კვა-
 ლად ქვეყნად დაჯემულსა ცანი სოლო მრთლივ
 შერჩენია. და თავი და ორნი ფერსნი ცამრის შუა
 ადგილს დაჯვინულნი შემუსრვილან, და ორნი მკლავ-
 ვნი წყრთილთა ზედა კარისა იფენეს: ამას ვარდა
 ღმერთმან სსვა რისსვაცა მიაგლინა უცხო თესლთ
 ზედა. რამეთუ საჰლომსა მათსა მუწუკები გამოა-
 ყარა, რომლებითი მწარეთ იჯანჰებოდენ, და ამი-
 თაც მრავალი კაცნი კვდებოდეს: ეგრეთვე მათს
 ყანებსა ურიცხო თავუნი ვანდებოდენ, რომელნი
 ყოველს თესულობასა მათსა ააოხრებდეს სტამდეს:
 რისსვანი ესე ასოცელთ იხილეს რა ეჭვში შე-
 ვიდეს რამეთუ მისეწითა კილობნისათა იქმნებინ
 ესეო. ზრანვა ეგეს სსვა უცხო თესლთ უხუცე-
 სთა თანა, და გამოსაცდელად კილობანი იგი მუნით
 აღიღეს ვეთ წოდებულ ქალაქად წარიღეს. ვარსა
 მაინც და მაინც ვითარცა იხილეს რისსვანი იგი მუნ-
 ცა იქმნებინ, მუნითცა უნდა ასკალონად წაღება. ვარ-
 სა ასკალონელნი წინ აღუდგეს ამასა, ჩვენ ყოველთა
 გაწეგვტ არა ვესურისო, ეცუოდეს: ამის გამო-
 ესრეთ თუქსა შვიდსა კილობანი იგი უცხო თესლთა


 ამის გამო უმეცეს ჰირველისა დამზადებითა აღიღითა,
 ცალობებითა და საკრავებითა მივიდა აღიღო მუნით
 კიდობანი იგი, და იმიერითვან ლევეტელთ მღვ-
 დელთ მხართა ზედა აღცვირთული იგფერ უმე-
 ცესი ჰატვივითა იერუსალიმად მიიტანა:

ხოლო ეჴმსა ამას მეორე გზის მის კიდობ-
 ნის წაღების დიდებისასა დაგითიჯა ბისონ მოს-
 ვილი სიხარულით წინ უვიდოდა კიდობანსა სან-
 თურის დაკვრით და თანვე ფერსულაობით თამაშო-
 ბდის. რომელი ოდეს იხილა ზემოდ სარკმელით-
 ვან მელქოლ ქალმან საულისამან, მოქმედებული
 რგი დავითისა უჴგრო რამ საქმედ გამოუჩნდა. ა-
 მისთვის დიდება იგი დასრულდა რა და დავით ხანად
 მიიქცა, მელქოლ მისი გაცინვითა წინ მიეგება და
 ეცყოდა. დღეს ვითარ ჩინებულად გამოჩნდების
 ისრაელთ. მეფე, რამეთუ იგფერ მოლხენილი თვის
 მსახურთ და მკეველთ წინაშე ერთს სახანდაოსა-

გიო სჯის და თამაშობს: მიუგო დაგიო და ჰრქვა მას. ჭე ეგრეთ არს, ლუთის წინ ვთამაშობ. კურთხეულ არს უფალი ღმერთი რომელმან მამა შენი და ძმანი შენნი ერთ კერძოდ განამო და მე წინამძღვრად გამოჩეული დამადგინა ერსა ზედა თვი სსა ისრაელთასა. ჭეშმარიტი არს ვთამაშობ ვცეკვამ ლუთის წინაშე. რომელი ესფერ შენს წინაშე მდაბალ რამედ გეჩვენები. და მკევალოთ წინაშე ვითარცა თქვი ვიდიდები: მის გამო ღმერთმანც (ვითარცა საღმრთო წერილი აჩვენებს.) სარისსა ვად მელქოს სიუცევათა ამათა სრულიად მე ანა მოსცა მას:

დაგიო ოდეს კილობანი იგი იერუსალიმად წარილო და მისთვის აღშენებულს კარავსა შინა განსხგენა რა, შემდგომ დაუწყო მას ცანჯვა სვინი დისმან, თუ ვითარ შესამღებელ არს მე ფართოდ დიდებულს პალატსა შინა ვიმყოფებოდე, და კილობანი იგი ლუთისა მას მომცრო კარავსა შინა იფერ ჰეივბდეს. ამისთვის ზრახვა ჰყო ნათან წინასწარმეტყველისათანა, რათა კელი მიჰყოს, და აღუქნოს ღმერთსა მისი ღირსი დიდი დიდებული ჭმარი ერთი: ვარსა ღმერთმან ნათან წინასწარ

მეტეველი მრხობლ მიუვლინა და ჰრქვა დავითსა.
 შენ მე არა აღმიშენო ცჳძარი, არამედ მოცემად ვარ
 შენდა მე ერთი, რომელი შენს სიკვდილს მერმედ
 განვიდეს შენს ადგილსა. და ჰაცივისა ამისა მის-
 თვის მიუცემად ვარ. თვით მან ცჳძარი ჩემი აღმი-
 შენოს:

თანვი შენოსნამეცე:

სსგა გამარჯვებანი დავითისანი, და ცოდვა დიდი
 მისი, და შენანება:

ბ. შეფეთ. შ. თ. იან: — წელი ქვეუნიან 2966:

ამისა შემდგომ სსგაცა მრავალი გამარჯვებანი
 ჰყო დავით უცხო თესლთ შეფეთ ჰირდაჰირ, და
 კელთაგან მათისა ადგილნი მრავალნი მოულო. და
 ივინი რომელნი ისრავლთ სარკს ასდევინებდენ ქვე
 აღებით მათი კარკის მძლეველ შექმნნა ივინი,
 ვითარცა ელომელნი, მოვაბელნი, ამონელნი, და
 ასურნი. და ამით ნამეტნავი განმი შეიძინა ოქრო-
 ვეცსლისა სპილენძისა დავით. რომელნი მერმე-
 ცჳძარის შენობასა სედა დასჭირდა:

შემდგომად მცირე ერთი დამყუდროებისა, დას-

ჭირდა დაეითსა კვალად ოძის გაძლა ამონელთა სე-
და. და მიხეწი ამისა იგი იყო, რამეთუ ხაას წო-
დებულ ამონელთა მეფესა ღიად მოუგრობა დიდი
აქუნდა დაგიოთ თანა და საყვარელ დაგიოთსა იყო.
რამეს იგი დაეცა მოკვდა, მეჲ მისი ახონ წოდ-
ებული მამის ადგილს ჰდა. დაგიოთ მას დესპანი
ორი მიუგლინსა, რათამცა მივიდეს მისა მის გა-
მო მოქალაქობით მიუსამძიმრონ მამის სიკვ-
დილი და ნუგეშინის სცენ: გარნა ახონ თვისთ
მთავართ მრუდი მოცემული სწავლების ყურად
მღებელმან (რომელნი ეცუოდეს ვითარმედ და-
გიოთს კაცნი ეგე მეთვალებად გამოუგზავნია ქვეყ-
ნებად შესაო,) შეიპყრა დესპანსი იგი, და საკი-
ცხავად მათი წვერი მოწარსა, ჯანის სამოსნი
წელ ქვეით დაატრა, და იგვერ კიცხული გამოდე-
ნა: ესე ვითარცა ესმა დაგიოთსა, კაცი მიუგზანა და
ჭრქვა მათ. დასდგერიოთ იერიქოდ ვიდრემდის წვე-
რი გამოგესხასთო. და თავად ამონელთა სედა გაწ-
ყრომილმან ინება ბრძოლით მათი მოქმედებული
ყვედრების კიცხვის სამაგიეროს მიუცხა: ამის გა-
მო იოაბ ჰართ მთავარი თვისი ახონანი ჰარებითა
ამონელთა სედ გაგზანა, რომლით. მათაცა წინ და

წინ ბრძოლასა ამასა ზედა ეტეხეულთა აქათ იქით-
 გან მრავალი ჭარები შემწედ თვისა მიეყვანათ :
 იოაბ თვისი ჭარის სოგადი აბესსა მკედართ უ-
 სუჯესს მოსცა, და სოგადის თვით ამუვანებელ-
 მან განვიდა მათ ჰირდაპირ, და სიმსნითა შვიდასი
 საომარი ეცლნი და ორმოცი ათასი ცხენოსანი მას
 ბრძოლასა შინა გაწევიცეს, და მათგან გამოქცეულ
 გარდარხნილნიც დაიპყრეს კარკის მძლეველ დავი-
 თისა შექმნეს : შემდგომ ამონელნი იგი წუგავთა
 ამითა გერ გამამლარნი კვალად ისურვებდეს ბრძო-
 ლის ქმნასა . დავით კვალად წარგზავნა იოაბ მკე-
 დართ უსუჯესი, რომელმან იმ გზის უფრო წუგავთ
 დიდი მოსცა მათ . და წინ ვლო რა ვიდრე მათს რაბათ-
 წოდებულ საკელმწიფო ქალაქამდეც ეწია შემორც-
 ყა, და ოდეს ასლოს იყო აღებასედ, მიუგზავნა
 ისმო დავით, რათა თავად მივიდეს სასჯელითა თვისითა,
 დაიპყრას : და იგვერ აღიღეს რა ქალაქი, მწარე
 მწარე სატანჯველებით ჰხოცეს შიგან მყოფი კაცნი,
 და ნაშოვარი მრავალი მოიპოვნეს მუნითგან . რომე-
 ლთა შორის სამეფო ევირცეინი ანუ მაჩრდილებელი
 ფრიად ხინებული რამ იყო ოქროს ერთი ცალანცი
 სიმძიმე ქონდა . (ვითარცა იცყვიან თითქმის ათ-

სუთმეცო ოყა ოქრო მოგიდოდაო,) შპვირფასი ქვე-
ბით მოართული. რომელი მას მოღმაცა დავითმან
აღილო თვით ისმარა :

მათ დღეთა შინა ბრძოლისა ამისასა დავით რომ-
ელი იერუსალიმს სასლსა შინა თვისსა დამყუ-
დროებით ჰდა, და დღესა ერთსა მიმწუსრის ეჟმსა
სამეფო ჰალაჯის ბანსედა რა მიმოვლიდა, ნასა ანას-
დათ ქალი ერთი შვენიერი რომელი იმიერ ემბანთან
ბანობდა. დავითი მისის გულისთქმავებითა აღგვწნო.
და რა გულის ემა ყო რამეთუ იგი არს ბერსაბე ცო-
ლი ურია ქვეგლისა, რომელი თვისთ მკედარათ
უსუცესთავანი ერთი იყო, კაცი მიუგზანა ისმო-
თავისთან: და მისთანა ცოდვის შესრულების შემდ-
გომ, ვითარცა ესმა მის დედა კაცის მუცლად ღე-
ბა, უნდა დაფარვა კიცსულობისა ამისა ამ გვარად.
ასრე რომ სწრაფად კაცი ვაგზანა იოაბთანა და ურია
ქვეელი ისმო იერუსალიმად მიაყვანინა, ვითარ თუ
მის მიერ მის ბრძოლის ამბავის წვრილად შეცყო-
ბა უნდა: ო-დეს ურია მივიდა დავითის წინ განვიდა,
დავით ბრძოლისა მის ამბავების კითხვის მერმე,
გცეოდა მას, ტანის დაბანა განწმედასა და სასლში
წარსვლასა, მცირეოდენ მოსვენებასა: ვარსა ურია

არა წარვიდა სასიღ თვისა, არამედ ჰალატსა დავი-
 თისასა მონათა თანა დაძთა მუნ დაწვა: დავით გუ-
 ლის კმის მეოფელ ამისამან, ისმო იგი კვალად
 და ჰრქვა მას, გზითვან მოსული სარ, მივედ სას-
 ლსა შენსა ვანისვენე. მანც მიუგო და ჰრქვა, კი-
 ღობანი იგი ლუთისა და ერი ყოველი იმიერ კა-
 რავთა ქვეშე არიან. და იოანე უფალი ჩემი, და სსვა
 დანაძთი მონანიცა შენნი ველსა ვარე მეოფ არიან,
 ვითარ შესამღებელ არს ჩემდა, რათა მე მივიდე
 სასიღ ჩემსა ვტამო და ვსვა და ჩემ ცოლთან და-
 ვიძინო, სუ იყოფინ ჩემდა საქმისა მაგის ყოფად!
 მას დღესა და სსვა დღესაცა ურია იერუსალიმს
 შეინახა დავით, თავისთან ჰაჯიოსნად ატამა ასვა,
 ეგებობს სასლში წარვიდეს, ვარსა ვითარცა იხილა
 რამეთუ არაფერი ეშველა, ურია მას ღამესაცა არა
 წარვიდა სასლში დასამინავად. მაშინ დავითსა უნ-
 და მის ჰირველი მოქმედებული ცოდვის დაფარვა
 სსვა ერთი უმეტესი დიდი ცოდვითა: ამისთვის
 აღსდგა დილაზგდ რა მის ურიის თვისს ვზას ვას-
 ასტუმრებლად, წიგნი ერთი ფარული მისწერა იო-
 აბსა და მისცა მასვე წაღებად წიგნი იგი, რომე-
 ლსა შინა უბრძანებდის მის ურიის ერთი სადამე

ადგილსა ბრძოლის, მის საცთურიანისასა დადგი-
 ნებასა და მარჯოდ დაჯობებასა მისსა, რათამცა
 მჯრისაგან დაჭრილი მოკუდეს: იოაბმანცა და-
 ვითის თქმულობისა ებრ მის საწყალობელი უ-
 რის იფფერ უსამართლობით მოკვლევინების შე-
 მდგომ, ოდეს მას კაცი გაუგზანა აჯნობა, დავით
 ფარისევლობით ჰირველად სასჯიკი ვულის წე-
 რომა გამოაჩინა იოაბის უმეჯრებასა ზედა, რომე-
 ლთა წინ გარბენთა იგინი განსაჯდელში მიუჯემი-
 ესთ, გარნა შემდგომ სიჯეგა გადაბრუნა და იჯ-
 ყოდა, არქუთ იოაბსა, ვული ნუ გაუჯეგება, ბრძო-
 ლის საქმე ესრეთი არს, კმალი ხან აქათ და ხან
 იქით გასჭრის. ამისთვის ნუ იქმნები შენ სასო-
 წარკვეთილი, არამედ ქალაქის აღებას ეჯადგო, ეჯ-
 ყოდა: ოდეს ვულის კმა ყო ბერსბემ თვისი ქმა-
 რი ურის სიკვდილი, ელოგობდა და დასრულებასა
 ელოვისსა, დავით მიიყვანა იგი დაჯობლად შეირთო:
 გარნა საქმეთა ამათათვის ფრიად განრიძსხნა
 ღმერთი დავითს ზედა, მის გამო ძეგ იგი ძრუ-
 შაობისა იშვა რა, მიუვლონა ზათან წინასწარმეჯ-
 ყველო, რომელი მივიდა განვიდა წინაშე დავითო-
 სა, და იგავითა ამითა მისი მოქმედებულნი ჯოდ-

ვანი და უმკულოებანი ყვედრა მეცხველმან: ქალა-
 ქისა ერთისა კაცი ერთი მდიდარი იყო, და ერთი ელა-
 საკი, მდიდარსა მას პრაგალნი ცხოვარნი ზროსანნი
 ევანდა, ხოლო ელასაკსა მას სსვა არა რამ ევანდა
 უკეთუ არ კრავი ერთი ხოლო. რომელიცა თვისი
 ყოველი საცხოვრებელითა მოესყიდა, და მას დაჭკან-
 კალებდა ინასდა. იტყერად ვიდრელა თვის შვილებითა
 ნა გაეზარდა იგი, და თვისი პირის პურითა და წყლი-
 თა გამოზრდიდა თავისთან უბეს დაიწვესდა: და იყო
 შემეზაური ერთი მოვიდა მდიდარს ესტუმრა. და
 კაცმან მან ანგაჭარებითა თვისითა თვის ცხოვარ-
 თაგანი და ზროსათაგანი ვერ გამოიმეცა, მივიდა
 მას ელასაკს საწყალობელს წაართვა ერთათ ერთი
 კრავი და თავის სტუმარს დაუკლა, და შეართვა
 მას სატყელად: ესე ვითარცა ესმა ღვით იფხერ
 ვაწერა ვაცეცხლდა ვიდრელა ნათან წინასწარმეც-
 ხველს ჰერეთ სიყვება არა დაესრულებინა, თავად
 წამოხუნა და თქვა, ვინცავე ღმერთსა კაცი იგი
 საქმისა მათის მოქმედი სიკვდილის ღირს არს,
 და თანამ შებდ კეცილად გარდაუხადოს მის ურ-
 ვის პაჯროინსა: მაშინ ნათან წინასწარმეცხველიც
 მიექცა ღვითსა კანნიერებით ამხილა და ჰრქვა,

შენ სარ კაცი იგი, რომელმან საქმე ეკე ყავ. შენ
 გაცემის უფალი ღმერთი ისრაელისა. რამეთუ შე
 შენ შეუფედ გცხე ყოველ ისრაელთა ზედა, და
 ადგილსა ბატონისა შენისასა დაგადგინე. და შენ
 და მიმართ ესოდენ სიკეთეთა ქმნის შემდგომ შენ
 შიშულნი ჩემნი დაჭქელე, ურია ქეცელის ცოლი
 გამოიჯაჯე, ესე არა იკმავე, არამედ თავად მორ-
 წმუნე და უცოდველი კაციცა მიეც აელსა უცხო
 თესლთასა მოაკლვედინე: ამის გამო ნუ ჭეონებ
 ვითარმედ არა გაწეგად იყო ცოდვათა ამთ ნატი-
 ყისა, არამედ ესრეთ იცოდე რამეთუ საუკუნოდ
 არა უნდა მოაკლდეს სახლსა შენსა მასვილი, და
 ცოლებსაცა შენსა მიუშვებ რათა სსვამან გააუზა-
 ტიუროს, შენ ცოდვათა ამთა მოქმედება ფარუ-
 ლად გინდოდო გცყოდა, გარნა შე ცხადად ყო-
 ველთ თვალთ წინაშე მინდა გჭყო სიციყვანი ესე
 ნიო: და ვითს ღმერთის მიერ მსილგებანი ესე ვითარ-
 ცა ესმა, ფიცხლავს თვის მოქმედებულს ზედა
 შეინანა. და სიმდაბლით გვცოდე უფალსა თქვა:
 მიუგო ნათან და ჭრქვა, ღმერთი ცოდვათა შენ-
 თასა შენდობასა მოგცემს რათამცა შენ არა მოკუ-
 დე, გარნა რისხვად ცოდვათა შენთა იგი მრუშაო-

ბით მოხილი მე შენი მოკუდეს. და თქმულობისა
 ებრ მისისა არა განგლო შრავალ ყაშმან ერმა იგი
 დასნეულდა მოკვდა: შემდგომ კურთხევითაა ლუ-
 თისათა ბერსაბე იგი კანონიერ ცოლად შეექმნა და-
 ვითას, და მისენით სოლომონ იშობა. და ღმერ-
 თმან ნათან წინასწარმეტყველის მიერ სასელი
 მისა. იედედ უწოდა რომელი საყვარელ ღუთისა
 თქმა არის: თუცა ვითარცა ვთქვით მოქმედებულ
 ცოდვათა ამათთა შენდობა მიიღო დაგით სრული,
 რომელმან ჭეშმარიტი სინანულით მოინანა, გარნა
 ჰაჯიუი ცოდვებისა დაშთა რათა გარდინადოს. ვი-
 თარცა ხილვად ვართ შემდეგ თავსა ამასა შინა:

თანვი შენთო-თხმეცე:

კელისაგან აბესალომისა დაგითის გამოვლილი
 შეწუსებანი ჰაჯიუად ცოდვათა მისთა:

ბ. შეფეთა. იგ. იდ. იე. ივ: — შადი ქვაყნისა 2974.

298. 2984:

დაგითს თვისი მათქა წოდებული ცოლისაგან
 ღარი მე ესეა. ერთი ვაჟი შეილი რომელი აბესა-
 ლომ ითქმოდა, და მეორე ქალი შეილი თამარ სა-

სელად: მას აბესალომს მიუმსგავსებელი ძვენიერებაჲ ერთი აქუნდა, რომლისა მსგავსი შვენიერი მრთელს ისრაელთა შორის არა მოიმეოდის კმირი და შვენიერ თმისანი, ეგრეთვე თამარ წოდებულ დაჲსაჯა მისისა სიმშვენიერე არა ნაკლებ მისა იყო. მის გამო შორის დავითის მეთასა ამონ ზირმშომან სასტოკი ეულის თქმაებით მას ზედ თვალნი დაიდგინნა და მაცუფარობით კელს გაიროვინა რა იგი, შებილწა. და შემდგომ შემულებითა დიდითა მისი განაგდო თავისაგან. სოლო აბესალომ თამარის გამო ეულსა შინა მტრობის დამდები ამონ ზედ უკან შთა მოუდგებოდა ერთი რამ გზით მის მოკვლასა:

ამისთვის შემდგომ სამი წლისა აბესალომ წვეულება ერთი ჩინებული ეო სინარულისა იერუსალიმს ვარე დაბასა თვისსა, და მუნ თვისთ სსვა მმანებთან ამონსა შთამოუდგა ბოროტი ფიქრით რათა იგიც მივიდეს: რაჟამს ამათ ჭამეს სუჭს, და ამონსაჯა ვოგრა გაუცხელდა, მაშინ აბესალომ თვისთ მსახურთ მიერ ამონი მოკლა. და ამ მიზეზითა ეოგელნიცა განიბნეს. თავად აბესალომცა განვიდა გესურ წოდებულ უცხო თესლთ ქვეყანასა განივლცო: ამას საგანსა ზედა დავით ეუ-

ლის წუსვილი პრავალი გამოვლო, და ფრიად ეან-
რისსებულ იყო აბესალომს სედა. ეარსა სამი
წლის შემდგომ იოაბ მკედართ უსუცესი მაშუა-
ლად დეა, და ერთი რამ მოსერსებული გწითა ბრ-
ძანება მიილო დაგიითისაგან, რათა წარვიდეს აბესა-
ლომი იერუსალიმად მოიყვანოს, აღონდა მივიდეს
სასლსა შინა თვისსა ჯდეს, ზალაგსა მისული არა
ეზვენებოდეს დავითსა:

აბესალომ თუწსა ორსა იგფერ სასლსა თვი-
სსა ეანცალკეეების შემდგომ იგოდენს ეცადა ვი-
დრემდის კვლად მაშუალობით იოაბისა მივიდა მა-
მასა თვისსა შეურიგდა. და მას მოღმა ნელ ნე-
ლად დაიწყოცა საბრხის მოდგმა თვისი მამის სი-
კოცხლისა და მეფობისა მისისა, რათა რომე გარ-
დმოაგდოს იგი, და თვით მისს ადგილს ჯდეს: ა-
მის გამო წინა ჰირველ ეცადა გულის შემინებასა
ერისასა, ყოველ დღეს ცხენით აღრე გამოვიდოდა
მივიდოდა კარსედ, და რომელი ვინმეც მივიდოდა
მეფის წინაშე რამ სადაო საქმის სამართლის გარ-
დასატრელად, თვით აბესალომ მას წინ გაეგებე-
ბოდის, სიყვარულით ეკითხებოდის სადაურობასა,
საითგან მოსვლასა, რა საქმის გამო მოსვლასა?

და მსმენელი მისი ჩივილისაჲ, გულმოქვაობასა მისსასა გამოაჩენდის მეტყველი. ბრალი რომე მეფესა არა დაუდგენიეს კაცი ერთი იგფერი, რომელმან იღვაწოს საქმენი ესენი. სჲდ იყო თუ მეტქვენი მსაჩუღიძეა ყოფილ ვიყავ, და საჭიროებანი ყოველთასა მეღვაწა! და უკეთუძეა უნდოდა გისამე ერთსა ფერსზე წამოდგომა თავის დაკვრას მისი, მეის მიზნოდა აბესალომ გარდგენგეოდა ამბოროს უყოფდა მასა. ო-თხი წლის ოდენ ესრეთი პირმომთხრობით და მაცუყუარობით ერის გულის თავისაკენ მიზიდვის მერმე, მამისა თვისისაგან. სიკრუით ნება ითხოა ქებრონ ქალაქად წარსვლისა აღსასრულებლად მუნ აღთქმისა თვისისა, რომელი ყამსა განგლჯოლისა ჩემისა აღუთქვი ღმერთსაო, იცუოდა: და იყო ოდეს იგფერ აბესალომ ორასი ეგამი პაცივეცემულ კაცთაგანნი აღიყვანა. ქებრონს მივიდა, მუნ თვისი მეფობის ჰაზრი გარე გამოსცა. და იგი რომელ ესმათ რა თითქმის თითქმის ყოველი ერი ისრაელთასა ერთი ეხდეს მიაჯოეს დაფითი და იგი სცნეს მეფედ. და მათთანა აქიჯოფელ წოდებული დაფითის მესაიდუმლოვც კაცი გონიერი მრავალისაჯ მჯოდინე დაფითისაგან

ვანყრილი აბესალოძთან მივიდა, რათა მას სწავ-
ლა მოსცეს ვსა უჩვენოს. რაჟამსაცა გამოსული
წირდაწირ იერუსალიმისა დავითს სვედ მივიდოდის.

საქმენი ესე ვითარცა ესმა დავითს, ოთხივე კუ-
თსე წყალი მოუწყდა. და უკეთ ეულის კმას ეო-
ფდა რა რომელ საქმე ესე საქმე ლუთისა არს, შეგ-
ლა არა აქუს წინ დადგომისა, ამისთვის თავისა
თვისისა ლუთისათვის დამაგვედრებელმან თავისთან
მყოფ მჯირე ოდენ ჭარის წაყვანითა თაგადცა ე-
რუსალიმით განვიდა ივლცოდა დასამალავად: მა-
შინ სადოკ მღვდელთ მოძღვარმან შრთელი მღვდ-
ლებითურთ კიდობანი იგი აღიღო და უნდა დავით-
თან წარსვლა თან წაღება. ვარსა დავით უკან დაბ-
რუნებინა მეცხეველმან, უკეთუ ღმერთს ღირს უ-
ყოფიეს დავით, კვალად მოქცეული ვიხილავ და-
დებასა მისსა. და თუ არა, აჰა ესე რა გელსა მის-
სა ვარ, რაჟც თვით უნებებიეს იფვერ ჰყოს: მერ-
მედ დაანდო სადოკსა მუნ ეოფნა შეიღებითურთ
თვისითა, რათა რომე რაჟც აბესალოძ ეოს, ფარუ-
ლად კაცი მიუგზავნოს მას აჯნობოს. და ამათს ე-
რდა დაუნდო დავით მეგობარსაცა თვისსა ქუსსა არა-
ქელ წოდებულსა აბესალოძთან წარსვლა მასთან

ცარეულად მეგობრობის გამოჩენა, რათა აქიჯოფე-
 ლის მიუცემული სწავლაჲ გაუქმოს, და რაჲსაც უო-
 ფად არს აბესალომ შეიცუოს და მასაც შეაცუობინოს.
 დავით საქმისა ესფერ დარიგების შემდგომ ოდეს
 ტირილით და ფერსთ შიშველი ცხას გამოსული
 წარვიდოდის, ერთიჯ ნასო იმიერ წინ გარდუდგა
 მას სემე წოდებულ, კაცი ერთი საულის მონა-
 თესავეთაგანი, რომელი დავითსედ ათასი ყვედრე-
 ბის მოქმელი მას ქმებს ესროდა და კიჯსვით გუ-
 ყოდა, გამოვედ დაიკარვე მოსისსლე უშქულო
 კაცო, ვინადგან აწე ღმერთმან გკითხა შენ სისს-
 ლი სახლისა საულისა. შენ მეფობა მისი გამოი-
 ტაცე მიილე, ამისთვის ღმერთმანც მიგილო შე-
 ნგან და მოსცა შეილსა შენსა აბესალომს. და რაჲც
 სსვას უფავ, იგი შენ გადაესდა: მაშინ აბესსა იოა-
 ბის შმა შედართ უსუცესმან ვერღა დამთმობელ-
 მან ამისამან, მიექცა დავითსა და ჰრქვა. რაჲ არს
 ესე, რომელ ერთმან გაბარცულ ძაღლმან აგინოს
 ესრეთ უფალსა ჩემსა მეუფესა? მე არღარა ძალ
 მიძს დათმენად, აწ მივალ თავს გაგადგებინებო: დჲ
 ვითიჯა გაწერომით მას გუყოდა, თქუწნ რაჲ, აჯა-
 დეთ ქმნას, ვინათგან ვერეთ ნებაგს ღმერთსა,

რათა მან დავითს აგინოს წყევლოს, ვის შეუძლია
 მის პირდაპირ სიტყვის თქმა. აჰა შეილი ჩემი ჩემ-
 გან შობილი მდგენელი ჩემს მოკვლასა ცდილობს,
 მაშ სადამე რაღსა ქმნად არა არს მონათესავე საუ-
 ლისა. ამის გამო დავითსავე აცადეთ გცუოდა, რა-
 თა მე გგვერ მავინოს. შეიძლება ღმერთმან სილ-
 ვითა შეწუსებისა ამისა ჩემი გამოვლილისა ამის
 წილ კეთილი მე მომავოს: დავით ესრეთ მეც-
 ყველი სიმდაბლით კაცებითურთ თვისითა ვლიდა
 წინ წარვიდოდა. და კაცოცა იგი მუვედრებელი
 სემე მას არა მოსცილდებოდის, არამედ უკან მი-
 დგენებული კიჯსვიდა ევედრიდა და ზედ ქვასა და
 გოროსსა აყრიდა. ვიდრემდის ესე ყოველნი და-
 ღალულნი მივიდეს ადვილსა ერთსა დაცეს მო-
 სასვენებლად:

მათ დღეთა შინა აბესალომცა მეორე კერძოდ
 მოვიდა იერუსალიმად შევიდა დაიპყრა. და წინა
 პირველ სწავლებითა აქიტოფელისათა დავითის
 მუნ სახლსა დაცობული ქალნი (ესე იგი ცოლ-
 ნი) კიჯსა გააუპატიურა: მერმე აქიტოფელ მას
 გცუოდა დროებას ნუ წავრწყემდეთ, არამედ ათორ-
 მეტი ათასი სული მე შემაგების შეის დავითზედ

წარსასგლელოდ ვიდრემდის ჭარები მისა დაღალ-
ული არს. მას სოლო მოგჭკლაე, და მისთანა. მყო-
ფთა მენს კერძოდ მოვიძსრობ: სწავლება ესე არკი.
ცუდი იყო დავითისათვის, ღმერთმან მოწყალე-
ბითაჲცა თვისითა ესრეთ აცხრომა. ასრე რამეთუ აბე-
სალომს უნდა საქმე ესე შეჭკითხოს არაქაეღელ
ქუსსა (რომელი ვითარცა ვთქვით დავითთან ფა-
რულად ვუღითვან მოყვარე იყო.) ვარნა მან ქუს
მან დაუშალა თქმითა. ამ გზის აქიჯოფეღ არა მო-
ეცა მენ სწავლა (წრახვა) კეთილით. და დაუწყეო
მას თვალის შემინება, თუ ვითარ საცდუროანი არს
ესფერ ერთობ ზედ მიჭრა. ვინათვან მენ კარვად
უწყეო ძალსა მამისა მენისასა, და მისთანა მყოფ კაცთა
ბოროტთა თუ ვითარი მკნე არიან, მაშ სადამე ჭერ,
არს სიბრძნით მოქცევა, ჰირველ ჭარების ეამ-
რავლება და მერმედ ზედ მისგლა. და შემდგომ
მათი ყოველისა შთანთქმა დამონაგება: ქუსისა ამის
თქმით უნდა აბესოლომის უკან დაეყენება დაეონე-
ბა, რათა დავითსა დროება გაქცევისა და დამზადე-
ბისა ქონდეს. მის გამო ფიცსლავს ფარულად საქ-
მე ესე ყურსა დავითისასა მიაწვთინა: სწავლებასა.
ამასა ღმერთმან აბესოლომ დააბრძავა და ფრიად

კმა ყოფილი ვასდა ნება დართო. გარნა აქიჯოფელ
ამით ცსადად სედვიდა დამსობასა აბესლომისასა.
ამისთვის თავად თავი აილო გამოვიდა სასიღ თვისა
წარვიდა, და სასო წარკვეთილმან თავი თვისი
ხამოირხო:

თანვი მენტხუთმეცე:

აბესლომ მოკლულ იქმნების, და დავით
პებლად აღვილსავე თვისსა მიიქცევის:

ბ. მეფეთრ. იწ. ით. კ. კა: — შუადი ქვეთნისა 2985.

აბესლომ რაჟამს ესფერ ჰყოენა, დავითს იძი-
ერ დროება მიეცა იორდანის მდინარით განგლისა-
და მრჩობლ სნათა შემკრებელმან სამ ბანაკად გან-
ჰყო. და ამათს ზედა მკედართ უხუცესად იოაბ,
აბესსან, და ეთთი ეეთელი დაადგინნა. და თვითაც
მათთან ერთად განსვლა უნდა, გარნა სნაის მუჟა-
ნთა მათ არა უცევეს: და ჟამსა მკედართ უხუცე-
სთა ამით გზას დაყენებისასა გულმან დავითისმან
გერა მძლებელმან დაუნდო მათ რათა აბესლომ
ჰრიდონ არა მოკლან: და რაჟამს აბესლომ ჰა-
რითაცა თვისითა მოვიდა, (რომელთ ზედა მკედართ

უსუცესად დაედგინა კაცი ერთი მსხვე ამესა წოდებული, რომელ იგიცა მონათესავე დაგითისა იყო,) და იორდანის მდინარით გამოსულმან ბრძოლა დაიწყო რა დაგითის ჭარია თანა, მას ადვილსავე ერთობ გაწყდენ თვისთავანნი ოცი ათასი. და მერმე განიბნეს ივინი შევიდეს ეფრემის წოდებულ ცეცსა შინა შთაცვივდეს, სადაცა მასვილით მოძვედართავან უმეცესი კაციც მუნ გაუფუტდა წარუწყმდა აბესალომსა: ხოლო თავად აბესალომცა ჭორსა თვისსა სედა მქედომარე ვარბოდა რა ცეცში ვაქცეული, თმანი თავისა მისისანი მოედვა ვარდაესგია მუნის რჯოვებ სედა, და ჭორი ქვეშედვან ვამოუძვრა, და თვით იეფერ დამოკიდული დამთა: საქმე ესე მოლაშქრემან ერთმან ნასა, მვის მივიდა იოაბს უაძბა. იგიცა მას ეცყოდა, რად არა მოჭკალ იგი, რათამცა მე შენთვის აწ მომეცა ორმეოცდა ათი სიკილა ვეცხლი და სმალი ერთი? კაცმან მან მიუგო და ჭრქვა მას. ათასიც თუ მოვეცავრ მაღმედებოდა მე შესებად ნელისა შეილსა სედა მეუფისა ხემისასა, რომელმან წინაშე ხვეწსა და განდო თქუწნ რათამცა აბესალომ ჭრიდოთ: მაშინ ეცყოდა იოაბცა. აწ მე მიუურე ოუ ვითარ მოვ-

კლა იგი! და მივიდა სამი ისარი სცუოცნა კერძოდ გულისა აბესალომისა, სად გეამიჯა ათი იოაბის კაცთაგანნი ზე ეწივნეს, და მასვე ადგილსა ჰგვე მეს მოკლეს იგი, და დანასეთქსა ერთსა ღრმასა მთაიდეს სსეული მისი:

შემდგომ იოაბ დაეგარებით საყვირისა ბრძოლა აცხრომა. და კაცთა ორთა ერთი ერთის შემდგომ აქიმაას და ქუსი წოდებულთა გამოისწრაფეს მოვიდეს მანრობელად დაგითისა: ხოლო დაგით კითხა, და ოდეს მათგან გულის კმა ეო აბესალომის სიკვდილი, ფრიად შესწუსნა მას ზედა. და მარჯოდ განცალკეებულმან ადგილსა ერთსა დაიწყო ცირილი ელოვა და თქმა. მეო ჩემო აბესალომ, აბესალომ მეო ჩემო, ნეტარ თუ მე მომკვდარიმჯა ვიყავ შენ ნაცვლად, აბესალომ მეო ჩემო:

შემდგომად გამარჯვებისა ამისა იოაბ მკედართუხუცესი ჭარითა თვისითა მოქცეული, ოდეს მოვიდა გულის კმა ეო დაგითის იეფერ სახლსა შინა ცალკედ განცალკეებამ, და აბესალომს ზედა ესრეთი ცირილი ვოდებამ. აღსდგა მივიდა მისა, და სიუყვებითა მძიმითა საქმისა ამისათვის მხილვე-

ბელმან, აღიყვანა ვარც გამოიყვანა იგი, რათა რო-
 მე ჰართა იგი იეფერ მხიარულად სილვითა გული
 დაიდონ მისთვის გამოვლილ შრომასა ზედა, რო-
 მელთ გული ვასცესოდით მიწესით. მოქმედებუ-
 ლისა ამის დავითისა: ვარნა ამით, და პირველზე
 მოქმედებული უწყალო და გლისაური საქმებითა
 იოაბ იეფერ ვანვარდა თვალისაგან დავითისა, ვიდ-
 რელა დავით მას ამესიასა წოდებულსა აბესალო-
 მის მკედართ უსუცესსა კაცი მიუგზანა მას აღუ-
 თქვა ვითარმედ იოაბის ადვილს ჰარის მთავრად
 ჩემი შენ დავადგენო: საქმისა ამის გულის კმის
 მუოფელ იოაბ ამესიას მოსაკლავად შთამოუდგე-
 ბოდის. ამისთვის დღესა ერთსა ფარისეგლობით
 არკი უსალმებდის ამესიასა, დანაკი მუცელსა შეს-
 ცა მოჭკლა. ვითარცა ერთ ღროს აბენნერ საულის
 მკედართ უსუცესისათვისცა ექმნა: რაჟამს საქმე
 ესრეთ დაბრუნდა, და ყოველნი ისრაელთ ნათესა-
 ვნიცა წინ მიეგებნეს დავითსა რათა იგი დიდებითა
 დიდითა ნაცოვცემულად აღიყვანონ ამიერ იორდა-
 ნის მდინარისა გამოიყვანონ, კვლად იერუსალიმად
 მიყვანებად და უახცსა თვისსა ვაყვანებად, მაშინ
 სემე ათასი სული ბენიამინის ნათესავისაგან თა-

ვისთან ამეგანებელმან აღესწრაფა წინ მიეგება და ვითსა ჰაჭვივის ცემისათვის, და მივიდა ფერსთა მისთა ვრდომილმან ეცოდე უთხრა თვისი მოქმედებული ყვედრებისა და ეინებისათვის: აბესსა სპაის მეგან მისი მხილველი იცუოდა. რაჲ არს ესე, ნუ თუ სემეჲ არ უნდა მოკუდეს, რომელს ცსებული ლუთისა უეინებიეს? დავით შემრისსველო მისა მიექცა სემესა და ფუცვით ეცუოდა მას, ნუ გემინინ შენ რამეთუ მე არა ეკლა შენ! შემდგომ შემფიბობსთე ძეცა იონათანისა სიმდაბლით მოვიდა შენდობა ითხრა დავითისაგან, და მიზეზსა ეცუოდა, თუ რასათვის თვითანც ყამსა დავითის განგვოლვისასა მასთან არ ეოფილა. და საქმე აცნობა რამეთუ მონასა თვისსა სიბა წოდებულსა სიჯრუით მისულსა წინაშე დავითისა იგი შეუბეზლებიეს, რომლით ეოველი მემკვიდრობა საულისა თავის ზედ ვარდულიეს: ხოლო დავით საქმისა ამის გულის კმის მეოფელმან უბრძანა მემფიბობსთესა, რათა სამკვიდრებელი იგი სიბასთანა თავიანთ შორის სწორედ შუა ეანიეონ.

დავით ოდეს დიდებულად მოვიდა მრჩობლ იერუსალიმს ჯდა, მაშინ კაცმან ბენიამინის ცო-

მისაგან საბეგ სასწელით ზირდაპირად დაგითისა თა-
 ვი გამოილო, და გარდა იუდის გეარისა. სსვა და-
 ნაშთ ისრაელთ ნათესაგისაგან მრავალ კაცთაგანნი
 მასთან შეერთდეს: იოაბ და აბესსა ჭარბითა თვი-
 სითა საბეს უკან გამოუდგნენ რა, იგივე მივიდა
 აბელ წოდებულ ქალაქად შესული გამოენწყევლა.
 ესენივე ზედ მივიდნენ მის ქალაქის შემორცემით
 არკი დაქცევაზედ იეგნეს ზღუდეთა, ზემოდ ზღუ-
 დით ქალმან ერთმან ბრძენური სიტყვებით იოაბ აც-
 ხრომა რათა არა რაჲ აგნოს, და თავად მივიდა საშუა-
 ლში შესვლითა, სიტყვა გაიყვანა მის ქალაქის კაცე-
 ბთანა, და იოაბის სურვისა მებრ მის გარდადგომილ
 საბეს თავი მოჭკვეთეს და ზღუდითგან ქვეით იო-
 აბს წინ გარდუგდეს. რომლით იფეგრ ბრძოლა
 დაბოლოვდა:

ამისა შემდგომ სამ წელიწადს ოდენ სიყმი-
 ლი ერთი შთაგარდა ქვეყანასა ისრაელთასა. შეჭკი-
 თხარცა დაგით ღმერთისა, და გულის კმა ყო რამე-
 თუ მიწეზით საულისა ქმნულ არს ჯაჯიყი იგი
 სიყმილისა. ამცომ რომე საულს შეუჭერიეს უწ-
 ვეპოვის ებაონელნი წინაღმდეგად ისრაელთ ფუტ-
 ვისა, რომელ ეფუტათ ყამსა იესუსასა. ამისთვის

ისმო დავით ებაონელნი და კითსა მათ ეცეგემ-
 ლმან, რაჲ ვნებავს თქვენ ვარდგისადო? იმთაჲც
 შვიდი სული ხოლო სთხოეს საულის დანაშტ შვი-
 ლთაგანნი ანუ შვილის შვილთაგანნი, რათა მოკლან:
 დავითმანც აღიყვანა საულისაგან დანაშტი ორი უშვე-
 რო შვილნი, და მისი მერობა წოდებულ ქალის სუ-
 თი შვილნი კელსა მათსა მოსცა, რომელნი იფუერ
 ცოცხალ ცოცხალი მსეში დამოკიდებული მოკ-
 ლეს, და მით სიყმილი დაცსრა:

თანვი შენთეჟუსმეცე.

ისრაელნი უმის სრვით ირისნებიან:

ბ. შეფთნ. 23: ა. ნეშტნ. კა: — წელი ქვეყნისა

2987:

ისრაელთა ზედა ღმერთმან ცოდვათა მათთათ-
 ვის გაწყრომილმან მიუშვა დავითსა რომ ამჴარცა-
 ვანობით მათ ყოველისა რიცხვის ცოდნა უნდო-
 დეს, რაჲჲმს თავად ყოველენით დამეუდროებუ-
 ლი ყოველთ ისრაელთა ზედა მშვიდობით მეოფი
 ფლობდის. მის გამო მკედართ უსუცესსა თვისსა
 ითაბსა უბრძანა, რათა წარვიდეს კილითგან კიდედ

მიმოვლითა, მრთელი ერის ანგარიში მას მოუტ-
 ანოს: იოაბ ამას საგანსა ზედა წინ აღუდგა მეცუ-
 ველი, უფალო ჩემო რა საჭირო არს აღრიცხვა,
 ღმერთმან ინებოს მათ შეოფთაჯა ზედა ასი იგო-
 დენიჯ სსვა შეეძინოს: გარნა მაინჯ და მაინჯ და-
 ვით ამასა ზედა სასტიკად აღვსებულსა უნდა წინ
 წაყვანა თვისი სიუცებისა: მაშინ განვიდა იოაბჯა,
 უმეცეს უფროს. ცხრა თვისა მიმოვლო, მათი რი-
 ცხვის ანაწერი მოუჯანა, რომელი მოსუცებულთა,
 ემაწვილთ, და დედა კაცთ გარდა, ისრაელთ ახოვანი
 კაცნი რომელთ შეეძლოთ ბრძოლა ხოლო რვა ასი
 ათასი გამოვიდეს. და იუდის ნათესაგი სუთასი ათა-
 სი იყო. გარნა საქმისა ამის მოქმედების შემდ-
 გომ, სვინილისმან დაგითისმან დაჭკრა მას ღუთის
 ჰირდაპირი საქმე გქმენო. ამისთვის მეესეულად და-
 იძასა, ვცოდე ღმერთსა, და შენდობა ითხოა: ღმერ-
 თმანჯ მას მეორე დღეს ვად წინასწარმეცუველი
 მას მიუვლინა რათა უოდვისა ამისათვის სამ რის-
 ხვათა ამათვანი ერთი გამოიჩინოს. ესე იგი ანუ
 სამი წელიწადი სიემილი იყოს მრთელს ქვეყანა-
 სა ისრაელთასა. ანუ სამს თუქსა ბრძოლით მოს-
 წედენ, და თვით განხეულად ვიდოდეს კელთავან

მცერთასა, და ანუ დღესა სამსა კმალსა ქვეშე
 ლუთისა გრდომილი, ყმის სრვა იქმნას მრთელს
 საბრძანებელსა შინა თვისსა: მაშინ დავით ფრიად
 ღმობილმან მიუგო და ჰქქვა. რომელს კერძოთაჲც
 მივიქცე, ყოველივეცა ცუდი არს. ვარნა რაჲც იუ-
 თოს, კელსა ლუთისასა გრდომა უმეცეს უმჯობეს
 არს, რომლის მოწყალება მრავალ არს, და კაცის
 კელსა არა შთავარდე. ამის გამო სამთა ამათვანი
 ყმის სურა გამოირჩია: და არა განვლო მრავალ
 ყაჰმან მყის სიკვდილმან დაიწყო. რომლით იმ
 დილითგან ვიდრე შუა დღემდე სამეოცდა ათი ათა-
 სი სული მოკვდეს: დავით ვითარცა იხილა ანგე-
 ლოზი ლუთისა ორნა ებუსელ წოდებული კაცისა.
 ერთის კალოს ზედა, რომელი ჰაერსა მდგომი კე-
 ლსა მასვილ მწყობელი რისხვასა ამასა მოსცე-
 მდის ერსა, სიმდაბლით შეგდრებელი ეცუოდის,
 უფალო, მე თავად მწყემსმან შევცოდე, მე ვარ
 მიზეზი ყოველ ბოროტთა ამათა, ცხოვართა მა-
 გათ არა რაჲ ცოდვა აქვან. ამისთვის მაგათ თავი
 დაანებე, და მე, და სახლი ჩემი ჰრისხე: აღიმრაც
 ცა ღმერთი მაშინ მათს შეწყალებასა ზედა, და
 მრჩობლ ვად წინასწარმეცხეველის მიერ დავითს

უბრძანა არა ჰყოვნოს, არამედ მას კალოსა ზედა
 მუის საკუთსეველი აღმართოს, ზედ მსხვერპლი
 შესწიროს ღმერთსა, და მით ღმერთი შეირიგოს.
 და ვითუცა ფიცს ლავს მივიდა, მის კალოს ადგილი
 თვისი ხარებიით და ურმებითა ორხასაგან თეთ-
 რით მოისყიდა, მუნ საკუთსეველი აღაშენა. და
 მას ზედა ხარები იგი მრთლივ დასაწველად ღმე-
 რთს შეწირა. რომლით ღმერთმან ჰატიჟი იგი
 სიკვდილისა დააცხრომა: და ესე იგი ადგილი არა
 სო იცუვიან, სად მერმევს სოლომონის ჯამარი
 აღშენდა:

თანვი მეათშვიდმეტე:

დავით თვისს შემდგომ სოლომონს მეფედ
 დაადგენს, და თვით გარდაიხველების:

გ. მეფეთ. ბ. ბ. — წელი ქვეყნისა 2990:

რამეს დავითუცა მოხუცებაზედ იყო, შორის
 მეთა თვისთა აღონია წოდებულ უხუცესმან მამის
 სიკვდილს უწინარეს ინება მეფობის სამსადისის
 ნახვა, რათა მამის შერმე თავად ჯდეს. და ითაბ
 მკედართ უხუცესიცა, აბიათარ მღვდელთ მოძღვა

რათან ერთად მისი ძკრის დატყერითა ცდილობდენ
 წინ წაყვანასა საქმისა ამისასა. თუ ეინდ ღავითს
 ერთს ღროს სიჯევა მიეცა, რათა თვის შემდგომ
 მეფედ დაჯდეს თვისი ბერსაბეცოლისაგან შობილი
 ძე სოლომონ: ხოლო დღესა ერთსა აღონიამან ამა
 მოყვარეთა თვისთა, და სხვათა მთავართა, იერუსა-
 ლიმს გარე ადგილსა ერთსა წვეულება დიდი გაუ-
 მართა რა, მაშინ ნათან წინასწარმეტყველი მივიდა
 საქმე ესე ბერსაბესა განუცხადა, და დაანდო, რათა
 მივიდეს ღავითს გაახსენოს თვისს სოლომონს
 შვილსა ზედა ქმნული დაპირებაჲ. შენ მივედ ეც-
 ყოდა, და მეც შემდგომ ზე წამოსწრობილი ნათ-
 ქვამთა შენთა დაგამტკიცებ: მივიდა ბერსაბეცა
 წინაშე ღავითისა თაყვანისსცემდა და ეცყოდა. უფა-
 ლო ჩემო მეუფეო, უფლებამან შენმან მე ფუჯვით
 აღმითქვა შენს შერძედ გამეფებაჲ მისა ჩემისა სო-
 ლომონისაჲ, და აწე აღონია თვინიერ შენი ცხო-
 ბინებისა მეუფებს, გარნა ისრაელნი ყოველნი მო-
 ყურალ ბრძანებისა შენისა არიან, რათა პირველ
 სიკედილისა შენისა მეფე მათ უჩვენო: თუ არა,
 შენს შერძედ გამოსდების აღონია, და მეც სოლომონ-
 თან ვმალ ქვეშ გამატარებს: ირ-ღეს ბერსაბე ამას

იცუოდა, მაშინ სე წაესწრა წინასწარმეტყველი-
 ცა ნათან, და თვითაც თავგანის ცემითა დაუწყო
 დავითს კითხვა. უფალო მეუფეო, მართლიად უფ-
 ლებასა შენსა უთქვამს შენს მერგდ აღონიას გამე-
 ფებად, ვინათვან ღღეს გაუძართავს მას ჩინებული
 წვეულება ერთი, და ყოველნი ძენი მეფისანი, და
 მკედართი უსუცესნი მუნ მიუწვევიეს, აბიათარ მღ-
 ვდელითურთ. და ყოველნი შექიფებულნი, იცო-
 ცხლოს აღონია მეუფემანო იმასიან. მხოლოდ მე
 და სალოკ მღვდელი, და ბანია მე ოვიდიასი მკე-
 დართი უსუცესი, და სოლომონ მე შენი დაგვჯოვა,
 არა მიგვიწვია: მაშინ დავით ბერსაბე თავისთან ის-
 მო, და მჩობლ მას ეფუცა მეტყველი. ვითარმედ
 ჩემს შემდგომ სოლომონ მე ჩემი გამეფებად არს.
 შემდგომად ფიცსლავს ბრძანა რათა სოლომონი
 აღიყვანონ სალოკ მღვდელმან, ნათან წინასწარმე-
 ტყველმან, და ბანიამან თვის სამეფო ჭორსე აღს-
 ვან, და გეჭონ წოდებულ ადგილს წარიყვანონ, და
 მუნ იგი მეფედ ცხონ ყოველ ისრაელთა სედა: ო-ღ-
 ეს ესრედ ჭევეს, და საყვირის დაყვირებითა ოთ-
 ხივ მსარეს განცხადდა სოლომონის მეფედ ცხებად,
 და ერი ყოველი პარქმნული სიხარულით იზახდენ

იჯოცსლას მეუფე სოლომონმანო, მაშინ იძიერ
 აღონიასთან მეოფნი ყოველნი ჰქმრწუნებულნი მი-
 შისაგან გამოვიდეს ვანივლცეს ვანბნეულნი, სო-
 ლო იჯოდაცა აღონიამ თავს ვარდასავალი. და თა-
 ვადცა მირბიოდა ივლცოდა ლუთის ვარავსა ჰქე-
 სისხსა, და მუნით არღა გამოვიდა ვარე, ვიდრემ-
 დის სოლომონ მას ჰირობა არა მოსცა არა უთხ-
 რა, უკეთუმცა დამყუდროებულ იქმნე, არა მოეკლა
 შენ. და შემდგომ იფერად გამოვიდა სახიდ თვისსა
 წარვიდა:

სოლო დავით დღითი დღეცა მიეახლა რა სიკ-
 ვდილსა, მოუწოდა სოლომონ, და მოსცა მას სწა-
 ვლანი კეთილნი კეთილად დასაცველად მცნებათა
 ლუთისათა, რათა მოსესის შჯულის თქმულობისა
 ებრ სჯასა სიმართლისასა ყოფდეს. რომლით დმე-
 რთამანც აკურთხოს მეფობა მისი. შემდგომ დაა-
 ნდო რათამცა მოიხსენიოს იოაბის მოქმედებული
 უსამართლო კაცთ მკვლელობანი და სიმართლით
 თვისი ცოდნისა მებრ მათი სამავიერო მიაგოს და
 მოკლას იგი. ესრეთვე საქმე სემესიცა ინაღვლ-
 ოს. მოქმედებულნი მისნი მას არ შეარჩინოს იგიც
 მოკლას: ამას ვარდა ლუთის ცამრის აღმენებო-

სათვის დაუბარა სოლომონსა შეგონა მაგალითი. ცა ყოველ საქმეთასა აჩვენა, თუ რასნაით მოქცევად არს. ეგრეთვე ესრეთი საქმისათვის დიდისათვისი პირველითვან განმსადებული ოქრო ვეცხლი და სხვა ნივთეულნი კელსა სოლომონისსა შთაბარა, ვული დაუდგა და აკურთხა იგი, და ესრეთ კეთილი მოხუცებულობით სამეოც და ათი წლისა ვარდიცვალა, წელსა ორმეოცსა მეუფების შემდგომ. და ქალაქსა იერუსალიმისასა მის მიერ აღშენებულს მართულსა დაეფლა:

დავით ყრმობიდან დაწყობილი ივოდნად საყვარელ ღუთისა იყო, რამეთუ ვარდა მეფობისა მადლიცა წინასწარმეცხველებრივი მოსცა მას ღმერთმან. რომლით თხიზა იგი საკვირველი ფსალმუნნი საქებელ სადიდებლად ღუთისა, რომელი მარად და უკუნისამდე ლოცვის წიგნად შეიქმნა ყოველ ღუთის მსახურ ერთასა: ესენი არა აკმაგა, არამედ ფუცვითაცა აღუთქვა მას ღმერთმან. მესიის კორციელად შობვა ნათესავისაგან მისისა იყოს, ვითარცა აჩვენებენცა მსწარებელნი.

თანვი მენტარვანმეცე:

მეუფება სოლომონისაჲ:

გ. მეფეთა. ბ. გ. — წელი ქვეუხისა 2990:

სოლომონ ათორმეტი წლის იყო რაჟამს მე-
 უფედ იჯსო და მცირე ოდენ ჟამსა. მამისა თანა
 თვისისა დაუოფოს შემდგომ რაჟამს თავით თვისით
 მეუფება დაიწყო, მაშინ აღონია უსუჯეს მამან
 მისმან მრჩობლ მეფობის უკან შთამომდგომელ-
 მან, მივიდა ბერსაბეს ეგედრა რათა მივიდეს სო-
 ლომონთან სიჯევა ვაიყვანოს აბისაკ სომხელ წო-
 ღებული ქალწული ქალისათვის, (რომელი დავითს
 ჟამსა სიბერისასა თავისთან ყვანდა,) იგი მას ცო-
 ლად აჭაგვაროს: სოლო ბერსაბე ოდეს უგუნჯრო-
 ბით საქმე ესე სოლომონს ვაუძალა რათა აბისაკ
 მას მოსცეს. სოლომონ ამას საგანსა ზედა ფრიად
 გულისწყრობით მიუვო ბერსაბესა მეცყველმან.
 რასათვის აბისაკ სომხელსა იცევი, აბა თქვი მე-
 ფობა ჩემი აღონიას მივცე, რომელ ჩემსედ უფ-
 როსიჯ არს, და აბითარ მღვდელთ მომღვარსა და
 იოაბ მედართ უსუჯესსა სიჯევის მეც კაცთა შისი

მკარე უჭირავს: ამის გამო მეესკულად განახენი
 ვარდუჭრა მას სოლომონ, და ბანია მე ოგიდიას
 წოდებულ მკედართ უხუცესი წარგზავნა მოსაკლავად
 მის აღონიასი. და ახითარ მღვდელთ მოძღვარიც
 მღვდელთ მოძღურობისაგან ვარდმოაგდო, თვისს
 ანათოფუ დაბასა ვადენა. და ადგილსა: მისსა
 სალოკ დაადგინა: იოაბ საქმეთა ამათა მსმენელი,
 და თავსაცა თვისსა ზედა შეშინებული განისწრაფა
 ლუთის კარავსა შევიდა შეესიზნა, რათა არა
 შეიპყრან მოკლან. მასაც სოლომონ ბანია მე
 ოგიდიასი მიუგზანა, რომელმან მუნით გამოსვლა
 უთხრა. სოლო მან უარი უთხრა არ გამოვალო, აქ
 მოგუდებო. მაშინ სოლომონ უბრძანა ბანეას,
 მივიდეს იმავე ადგილსვე მოკლას იგი, ორთა მათ
 უკოდველ მკედართ უხუცესთ სისხლის მისგან
 მოთხოვითა, რომელ იოაბსა წინაღმდეგად დავითის
 ნებისა მაცუყურობით მოეკლა ივინი. და მისს
 ადგილს სოლომონ ბანია მკედართ უხუცესად
 დაადგინა ყოველ ისრაელთ ზედა: შემდგომ
 მოუწოდოცა სემეი სოლომონ თვისს წინაშე, და
 მას ზედ ვალად ესე დასდვა, რათა მივიდეს იერუსალიმს
 დაემკვიდროს, ვარსა უკეთუშა იუ-

რუსალიმს ვარე ვაგიდეს, მოკუდეს: სამ წელი
 წადს ოდენ იგფერ დერა სემეჲ. შემდგომ ერთ
 გზის მოუსვდა რომე მსასურნი მისნი ისრაელთ
 ქვეყნიდგან ვანივლცეს ვეთელთ ქვეყანას მივი-
 დეს. სემეცა მათ უკან გამოდგომილი მათ შეიპ-
 ყრობდის და იერუსალიმად მოიყვანდის. მაშინ სო-
 ლომონ მოუწოდა თვის წინაშე სემეჲ, და მისი
 ურჩობა და დავითის მიმართ ქმნული უმჯულოე-
 ბანი ჰყვედრა. და უბრძანა ბანეასა მოკვლაცა მისი:
 სოლომონ თვისი მეფობის განმტკიცების შემ-
 დგომ, წინა პირველ მთავარნი და სიმრავლენი
 ერისანი აღიყვანა თავისთან ვანვიდა ვაბაონ წო-
 დებულ ადვილს წარვიდა. (რომელს იცყვიან რო-
 მე მოსესის აღშენებული კარავი მუნ იყო.) ლუ-
 თისა მიმართ აღთქმის საქმნელად. სადაცა ათასი
 მრთლად დასაწველი ეინა ეოვლად დასაწველი შე-
 სწირა დმერთსა: დმერთიცა მას ღამესა ძილსა
 შინა სოლომონს გამოუჩნდა და ჰჩქვა ვითარმედ,
 რაჲც ვინდეს ითხოე ჩემგან. სოლომონ მადრიე-
 ლობის შეწირვითა ლუთისადმი მამასა თვისსა ზედა
 და თავსა თვისსა ზედა გამოჩენილ სიკეთეთათვის.
 რომელმან იგფერ ემაწვილობითვანგე იგი მევედ

გამარხია დაადგინა ურიცხო ისრაელთ ერთა ზედა.
 სწვა არა რასა ვითხოვ შენგან ეცუოდა. მე მომცე
 ხოლო სიბრძნე რათა ესოდენსა ერსა შევლო, და
 სიძარტლით მსჭავრი მათი ვსაჭო: სათხოვარი ესე
 ხოლომონისა იფფერ სათხო ეყო ღმერთსა, ვიდრე
 რელა მას ეცუოდა. ვინათგან შენ არცა ერძლად ცხოვ
 რება, არცა სიძლიდრე, და არცარა მცერთა შენთა
 პირდაპირად გამარჯვება, არამედ მხოლოდ სიბრძნე
 ჩემგან ითხოე, მის გამო მიეცე შენ სიბრძნე ი
 ვოდენი, ვიდრე პირველ შენსა კაცი იფფერო ბრძ
 ყნი არა იუოს სოფლად მოსული, და არცარა შემ
 დეგ შენსა მოსვლად იუოს ყე და ამას ვარდა იგი
 რომელი ჩემგან არა ითხოე, მიეცე შენ სიძლიდ
 რე იფფერი, ვიდრელა შენფერ ძლიდარი კაცი მო
 რის შეფებისა ყამსა დღეთა შენთასა არა ვინ მოი
 ძეოდეს. და უკეთუმცა მცნებათა ჩემთა კეთილად
 დაიჯგავ; და მამისა შენისა დაგითის მართალი ვსი
 საგან ვარე არა ვასვიდუ, ვიხვეხოც ყე შენ და მიე
 ცე ცხოვრებაც განერძობილი: აღსდგა რა ხოლო
 მონ დილას, გამოვიდა იერუსალიმს ქალაქად მო
 იქცა. სად კვალადცა მრჩობლ შესწირავთი შეწირ
 ვის შემდგომ, ფიცხლავს გამოცხადდა სიბრძნე

თვისი წინა პირველ ქმული მსჯავრითა, რომე-
ლი ესრეთ იყო:

ორნი ქვეყნიური ქალნი წინაჲ სოლომონისა
სამართლისათვის განვიდეს. იცუოდა ამათგანი ერ-
თი, ვითარმედ მე, და დედაკაცი ესე სახლსა ერ-
თსა ვიყავ, და ჩვენს გარდა სხვა არაფინ კაცი იყო
მას სახლსა შინა. მე შეილი ვჰვი, შემდგომ სამი
დღისა დედა კაცმან ამანც შეილი თვისი ჰვა. და
იყო ღამესა ერთსა ესე შეილსა თვისსა ზედა და-
ცემული დაწოლილა რა, შეილიცა თვისი მოუკა-
ლავს. დაოდეს მე შემინა მოსულსა ფარულად ცოც-
ხალი მე ჩემი მოუწარავს წიაღითგან ჩემისა თავი-
სთან. დაუწვენია, და თვისი მკუდარი მე ჩემდა დაუ-
წვენია, აღვსდგე დილა განთიადსა მისა ჩემისა სა-
წოებლად რძისა, და ვინილე იგი მკუდარი. შემდ-
გომ უკეთ ვათენებისა დაკვირვებულმან ვსცან რა-
მეთუ ყრმა იგი ყრმა ჩემი ნაშობი არა არს: მეორე
დედაკაციცა იგი წინაღმდეგად ამისა იცუოდა. თუ
არა ეგრეთ, არამედ მკუდარი ყრმა შენი არს, და ცო-
ცხალი ჩემი არს. და ესრედ ერთი ერთის წინაღ-
მდეგად მტკობელნი ბასრობდეს: ხოლო სოლო-
მონ სხვა გზის ვერა მპოვნელმან ინება ცულის

ემის ყოფად საქმისა ამისა სიყვარულითა დედებ-
რივისათა. ამისთვის ბრძანა რათა მოიღონ მასვი-
ლი და შუა გაჭაბუკთონ ყრმა იგი ცოცხალი, და
ნასევარი ერთს, ნასევარი მეორეს მოსცენ: ესე
ვითარცა ესმა მის ცოცხალი ყრმის დედასა, ვე-
რა მძღებელმან თვისს ღვიძლს მესა ზედა, მიე-
ჭრა სოლომონს ეგედრა. ოღონდა ყრმა იგი არა
მოკლან, და ცოცხალი მას ქალს მისცენ. სოლო-
მონითი ქალი გელმეორ არა, იჯყოდა, ხურც ჩემი
და არცა მაგისა იყოს, არამედ შუა განიკუჭთოს:
ამ ყამს საქმე ეულისა ემა ყო სოლომონ, და ბრ-
ძანა მის ყრმის მოცემა მისდა, რომელსა სიკვდი-
ლი ყრმისა არა უნდა. რომლით მისი ღვიძლი
დედობა გამოაჩინა: და ესე სოლომონის ბრძენური
მსჯავრი ვითარცა ესმა ერსა ისრაელთასა, ყოფ-
ელთა უკვირდა ღუთის მოცემულ სიბრძნესა ზე-
და მისსა. და იმიერითგან სოლომონს დიდ გინმედ
შერაცხვიდენ, და მისგან კდემულთა ეძინოდინ:

თანვი შეათვისრანმეცე:

სოლომონ ცამარსა და პალატსა თვისსა
 აღშენებს. დედუფალი საბაისა მის სანსაგად
 მოვალს:

გ. შეფეთ. ე. ვ. შ. ი: — წელი ქვეყნისა 2993:

ვითარცა ვთქვიო ვულის წადიერებაჲ დავითისაჲ, რომელს სუროდა აღშენება ლუთისათვის შესაშენი ცამრისა ერთისა ხინებულისა, ღმერთმან სიმარჯვე მოსცა სოლომონსა რომელმან საქმიით აღასრულა: ამის გამო სოლომონ ყოველ კერძოდ რომელ დამყუდროებულ იყო, და მით სიმდიდრეცა მისა დღითი დღე შეეძინებოდის, მეოთხესა წელსა თვისი მეფობისასა დამზადებიათა დიდ დიდთა კელი მიყო აღსაშენებლად ცამრისა: და იფეროთსმეოცი ათასი ვეპი დაადგინნა მათა ზედა მის ცამრის შენობის საჭირო ქვათა საკვეთლად, და სხვა სამეოც და ათი ათასი სულიცა დაადგინნა მათ მოკუჭთილ ქვათა საზიდველად. სოლო მოსაქმეთა ამათ ზედა დაადგინნაცა ზედა მხედველად სამი ათას სუთასი სული. გარდა სხვა სუროდ მოძღ-

ვართა და კალატოსთა რომელნი სირამ ცვირო-
 სის მეფესა, და ფარაო მეფეჲს ცელთ მეფესა სო-
 ლომონთან მეგობრად ყოფნითა; მისთვის წარ-
 მოვესაგნათ; და ამ სასით, უცდარო იგი შვიდ წე-
 ლიწადსედ აღშენდა. და იგფერ ჩინებული რამ იყო
 რამეთუ ამ ქვეყანასა სედა მსგავსი მისი არა მო-
 ითხრობვის, თუ სიმდიდრის გამო, რომელ შიგა-
 ნით ჰატოსან კეებით ნაშენი და ოქროით და ვეც-
 ხლით დაფერილი. და თუ სუროდ მოძღვრებითი
 სამკაულთ გამო, ყოველი საჭიროებითურთ თვი-
 სითა: ო-დეს სოლომონ ესრეთი უცდარის აღშენე-
 ზა დასრულა, და კიდობანიცა ღუთისა დიდებითა
 ღიღითა შეიჯანა მას უცდარ შინა ადგილსა თვისსა
 განსვენა, დღესა ათ ოთხმეცსა მენი ისრაელისა
 ნი ერთად შემოიკრიბნა და დღესასწაულობა დიდ
 აღასრულა. და მაშინ ოცდა ორი ათასი წროხა და
 ას ოცი ათასი ცხოვარი საღმრთო შესწირა ღმერ-
 თსა; და უამსა მის უცდარის კურთხევისა ანუ ღუ-
 თისათვის შესწირვისასა; თავად სოლომონცა მკლა-
 ვებ გაშლილი ლოცულობდა მადრიელობის მოთ-
 ხნოვითა ღუთის სიკეთეთათვის, რომელმან იგი
 ღირს ყო მის უცდარის აღშენებისა საღიდებლად

ლუთისა. და ესეც ითხოვა რომე ადვილსა მას ერ-
 მან მან რაიუც ლოცვა და ვედრება ეოს არკი, უს-
 მიხოსცა ეე ღმერთმან და ვედრება მათი აღუს-
 რულოს: და ესრეთი განგრძობილი ლოცვის ქმ-
 ნის შერძე, რათა რომ ღმერთმანც სასწაულითა
 ცსადითა გამოაჩინოს ამის თვისად შეწყენარებაჲ
 მოვიდა მაშინ ღრუბელი ერთი ნათლთანა რომელ-
 მან ცამარი იგი სრულიად აღავსო, და ზეცით. ცე-
 ცხლი გარდმოხდა და იგი შრთლად დასაწველად
 ქმნული საღმრთონი მოწვა ეანსურა. და საქმე
 ესე ვითარცა იხილა ერმან მან, შეშინებულნი პირ-
 ქვე დავარდეს დიდებას აძლევდეს ღმერთსა: შემ-
 დგომ მას ღამესცა კვალად ეჩვენა ღმერთი სო-
 ლომონს და ჰქქვა უსმინე ლოცვათა შენთა, და
 რაიუც ითხოე ცამრისა ამისათვის, ადვისრულეხ.
 და სახლად ჩემდა გრაცს მასაცა. ოღონდა ჩემი
 მოცემული შჰსულნი და მცნებანი დაიძარხო, და
 მამა შენი ღავითსავით მორწმუნებით მე შემსახ-
 ურო. მაშინ შეილით შეილამდე ცახცხა შენსა სა-
 მეფოსა განგამცვიცხე: გარნა უკეთუ შენ ანუ შენი
 შესნი ანუ ერი მიიქცევით მსახურებად კერპისა,
 თქვენ მაშინ ავსოც მოვსნობ ქვეყნებისა ამისა.

გან, და ცაძარსა მავასა ჰირისაგან ჩემისა განგადებდებ და მივატოვებ რათამცა დაიქცეს ახსრდეს.

ცაძარის დასრულების შემდგომ იწყო სოლომონ აღშენებად სამეფო პალატისა თვისისა, იგვეგრესაკვირგელი დიდი ჩინებული ნაშენი, ვიდრეცა მხილველსა თვალს მოსტაცებდა, რომლის შიგან ყოველი ნასაქმი კენი და ფიცარნი ძვირი და პატიოსანი ლიბანის მთის ნაძვ წოდებულ კეთილ მოკვეთილ იყო. მის გამოცა ვითარცა იცხვიან სახლი ლიბანის ტყისა ითქვა პალატი იგი: და ამას შინა უმეტეს უფროს ყოველი რაიმისა დიდებული თვისი სამეფო ცახცი იყო. რომელ სწილოს ძვლისაგან იყო, და ოქროს სამკაულნი მას ზედა შეცმული, აღსავლითა ექუსითა ზე აღვიდოდის, და კაცად კაცად აღსავალსა ზედა ორსავე მხრითაცა თვითო თვითო სასე ლომისა იყო აღშენებული: ამას გარდა ცალკე ერთი ფრიად დიდებული პალატიცა სოლომონ აღაშენა ფარაო მეფის ქალისათვის, რომელი ცოლად თვისა მიეყვანა. და შენობათა ამათ ყოველთა ოცს წელიწადზედ მოიწია დაასრულა: შემდგომ ზღვაზედ ნაგები ვაკეთებინა სოლომონ. და სოფერ წოდებულ ქვეყანას ვაგ-

ზაენსა, და სამს წელიწადში ერთ გზის მუნით
 მრავალი ოქრო და პატიოსანი თვალნი და სსვა
 ათასი რამ კეთილნი მოაქუნდათ სოლომონისათ-
 ვის: და ამ გვარად, სოლომონ თვისი უდიდესი
 სიბრძნის გარდა, სიმდიდრის კერძოთაც ერთად ერ-
 თი იყო, იგებრად ვიდრელა ოთხივე კუთხე ქვეყნისა
 სასელი მისა განითქვა, და მიწესითა მით მრავ-
 ზალნი უმფროსნი კაცნი მის სილგვასა ნაცრობდეს:

ამათგანი ერთი რომელ საბა წოდებულ ქვეყ-
 ნის დედუფალი იყო, თვისი ჭარბებითა და ძლუჭნ
 აკიდებული აქლემებითა იერუსალიმად მოვიდა სი-
 ლვად სოლომონისა, რათა სიბრძნე მისა გამოს-
 ცადოს და ნახოს, ნუ უკვე ტემპარიცი არს რაივც
 სმენია მისთვის: ამისთვის რაჟამს ესე განვიდა
 წინაჲ სოლომონისა, და რაჲც თვით საქმენი ვი-
 ნებასა თვისსა დაედო, იგი კითხა. და მისენით აღ-
 გილობრივ ყოველისავე სიბრძნით პასუხი მიიღო.
 შემდგომ მისი პალატის დიდებული პეწობანი, მისი
 ცაბლის საზრდელნი, და ასეულთ მსახურთ რივი და
 კანონი და ცამარში ქმნულნი საღმრთონი, და სსვა
 ყოველი რამენი იხილა რა, ტკუა შეშალა განცვი-
 ფრებული დაშთა, და მიექცა სოლომონს და ჰქრქვა.

მე შორითვან სმენითა სიბრძნისა და დიდობისა შენ
 სა არა შიშენა, ვარსა აწე თვალითა ჩემითა მხილ-
 ველი ამას სოლო ვიცევი რამეთუ, იგი ვაცონე-
 ბუღნი ჩემნი აწინდელ თვალით ნანასწედა არცარა
 ნახევარი ყოფილან. ნეტარელი მათ იცეოდა, რომე-
 ლნი მარადის შენთანა არიან, და შენ გმონებენ, და
 სიბრძნე შენი ესმის. კურთსეულ არს უფალი ღმე-
 რთი, რომელსა შეყვარების გამო ისრაველთა, შენ-
 ფერი კაცი მათ ზედ მეუფედ დაუდგენიეს, რათა სი-
 მართლით მართო შეგლო ივინი: შემდგომ იგი თა-
 ვისთან წაღებული ძღუწნნი სოლომონს მიართვა,
 ას ოცი ცალანდი ოქრო (რომელი ერთ მილიონ
 მარხილზედ სამეცხაფი იყო), და ჰატიოსანი თვალ-
 ნი ანდამანჯისანი. და ნაირ ნაირი ცგბილსაყნოსაფი
 ჰატივცემული საკუმეველნი: სოლომონ ძღუწნნი
 ესე მიიღო, და თავადცა მის სამაგიეროდ რაჟც მან
 სთხოა იგი მოსცა მას. შემდგომ იგფერ გამოვიდა
 დედუფალი საბაისა და ქვეყნად თვისსა მიიქცა:

თავი მეოცე.

ცოდვა სოლომონისა, და სიკვდილი მისი:

გ. შეფთა. ია: — წადი ქვეყნისა 3029:

სოლომონ წელიწადები შეისრულა რა, ნელ
 ნელა სიყვარულისაგან ლუთისა გაგრილდა, და გუ-
 ლისტქმებათა კორცთათა თავი თვისი მისცა,
 იგფერად ვიდრეღა ფარაოის ქალს ეარდა, ზომას
 ეარდასულ სხვაგა მრავალი ცოდვები შეერთო უც-
 ხო თესლთ კერძმსასურთაგანნი რომელ საქმე ესე
 ღმერთსა შჯულთა შინა აგერძალა ისრაელთათვის.
 შემდგომ ესფერ ურწმუნო ქალთ ნების აღსრუ-
 ლებისათვის, არა თუ მათ კერძთ ცაძარნი სოლო-
 აღუშენა, არამედ თავადცა დაიწყო მათ ცუვილი
 ღმერთების მსახურება და თვისთ ცოდვებთანა
 მათს წინაშე საღმრთოს შეწირვა: მის გამო ღმე-
 რთიც სასტიკად ეაუწყრა სოლომონს, და მისი
 მოქმედებული უმადურობა ჰეგედრა, (რომელს
 მისგნით იგოდენი კეთილის მიძღვებელსა ერთ კე-
 რძოდ დაეცოვებინა, და წარსული ცრუ კერძებს უკან
 მთამოუდებოდა, და ჰრქვა მას. აჰა ესე რა რისხვად

ცოდვითა შენთასა ეგვსეთქ მივიღებ კელისაგან
 შენისა მეუფებასა შენსა, და მივსცემ კელსა მო-
 ნისა შენისასა: გარნა საქმესა ამასა სიეგარულისა-
 თვის მორწმუნე მონისა ჩემისა დაგითისა შებრა-
 ლებითა შენი ვიდრემდის ცოცხალ ხარ არა გეოფ,
 და სრულებით მეუფებასაცა შენსა ნათესავისაგან
 შენისა არა ავსენი, არამედ ცომსა ერთსა დაგიცოვებ
 შენ: შემდგომ ღმერთმან ვითარცა თქვა, განამსა-
 ღაცა საქმნელი თვისი, ვიდრემდის სოლომონს
 თვალნი არა დაესუჭა ორნი გვაძნი უცხო თესლ-
 თაგანნი ერთი ადერ წოდებული, მეორე რასონ,
 მისგან გარდადგომილნი, მცრობას უყოფდეს ის-
 რაელთა:

ამათს გარდა სხვაცა ერთი ძეა ნაბათისა იე-
 რობოამ წოდებული შორის ისრაელთასა ეფრემის
 ნათესავისაგანი, რომელი სამსასურსა შინა სოლო-
 მონისა იყო, ღმერთმან აქია სილონელი წინასწა-
 რქმეცხველი ამას მიუვლინა, რომელმან შესამოსი
 ასალი შეიმოსა იერობოამთან მოვიდა, და იგი სა-
 მოსელი დასია ათორმეტ ნატყერად შექმნნა. მერ-
 ზე ათი ნატყერი მისა იერობოამს კელს მოსცა მე-
 ცხეველმან. ესრეთ დასეგად არს ღმერთი სოლომო-

ნის მეფობისა, და გამოარიცხვად მისგან უფლობისა ათი ვგარისა, და შენდა მოცემად არს, და ორი ვგარი სოლო უნდა მესა მისსა დაუცევოს, რათა წარვიდეს იერუსალიმს მეუფებდეს. იგიუ სიყვარულისათვის დავითისა. და მიზესი საქმისა ამისა იგი არს, რამეთუ სოლომონმან უმადურობით ღმერთი ერთ კერძოდ მიაჯტა, წარვიდა სამაგელ კერძთუკან ჩამოუდგა: და შენუ ვცუოდა, უკეთუმუა ბრძანებთა ღუთისათა დაიძარსავე, ვითარუა მონამან ჩემმან დავით უო, კელი ჩემი შენსედ იუოს. და შეილით შეილაძდე მეუფება სასლსა შესსა არა მოაკლდეს: საქმე ესე რაჟამს ყურსა სოლომონისასა შთავარდა, უნდა ერობოამის შეწყრობა კვლა. იგიუცა შეის განივლტო ეგვიპტელთ მეფესთან მივიდა, და მუხით არლა მოიქუა ვიდრემდის სოლომონ არა მოკვდა რომლის მეუფებამან ორშეოცი წელიწადი ვასძლო: ძრავალნი მოძღვარნი იცყვიან რამეთუ სოლომონ ბოლოს და ბოლოს ტკუა თავში მოიკრიბნა, და მოქმედებული ცოდვანი შეინანა, და მაშინ იგი ეკლესიასტე წოდებული წიგნი დაწერა სოფლისა ამის ამაგოებასა ზედა, რომელი ესრეთ იწყობების, ამავოებან ამავოთან, უოკვდივე

ანაკო: გარნა ვინათვან საღმრთო წერილი ცოდვათა მისთა მოთხრობის შემდგომ, მოქცევასა ზედა მისსა გამოცხადებულად არას იხსენიებს, მის გამოვიდრე დღედმდე ამათა ეჭვნეულებას ქვეშე შეიძრაჯვის ცხონება მისი ანუ დასაჯვა თუვინდ ნაწერნიცა მისნი რიგსა შინა საღმრთო წერილისა არიან:

თანვი მეოცდამეერთე:

ისრაელთა მეუფებაჲ ორად განიყოფის:

გ. მეფეთა. იბ: ბ. ნეშთა. ი: — წადი ქვეყნისა 3029.

სოლომონის სიკვდილს შემდგომ, ვითარცა იცხევინ, მისი ერთად ერთი ვაჟი შვილი რობოვამ წოდებული, რაჟამს სიკიმი ქალაქად წარვიდა, რათა ყოველთა ისრაელთა დიდ. დიდნი მუნ შემოიკრიბნონ და თავად მამის ადვილს მეფედ დაადგინონ. და შემორედ აღწერილი იერობოვამიცი მათთანა: წინა ჰირველ ისრაელთა რობოვამს ესე სათხოვარი სთხოეს მეცხეველთა. შემომსუბუქე ჩვენ მჯირე ერთი მამისა მიერ შენისა დებული მამიჲ მისაჯემელთაგანნი, რათა შენ მეუფედ გცნობდე

და კეთილად ვეუბო შენ: ეცუოდაცა რობოვამ,
 შემდგომ სამი დღისა მოვედით, რათა მაეისა ზა-
 სუსნი თქვენ მოვცე. ამის გამო მივიდა პირველ
 სოლომონის მესაიდუმლოე მოხუცებულთ შეჭკი-
 თსა საქმე ესე. ივინიჯა ერთ პირად სწავლას მო-
 სცემდეს მათი ნებოს აღსრულებისას, რათა პირ-
 ველად სიცბოებით მათთან მოიქცეს გული მათი
 შეიძინოს, და შემდგომ ვითარცა უნდა ივინი შევ-
 ლოს: ვარნა რობოვამ, მოხუცებულთა ამათ მო-
 ცემული სწავლა ეონიერი საკმარისად არა შერა-
 ცხა, არამედ მრჩობლ მოუწოდა საიდუმლო შეჭ-
 კითხა თვისთ მეგობარ ყრმათა (ბიჭ ბუჭებსა ცოლ
 ამხანაგებს). სოლო მათაც იმერთ მოხუცებულთ
 წინაღმდეგად აკითხეს, რათა ესრეთ უნასუსოს
 ერსა და ჰრქვას. იცოდეთ უმრწემესი თითი ესე
 ჩემი ყოველ თითთაგანი ამათ ჩემთა უფრო ზაცარაჲ
 მსხვილი არს მამის ჩემის წელზედ. მამამან ჩემ-
 მან თქვენ ზედ ჭვირთი მძიმე დასდო, მე მას
 ჭვირთ ზედა სხვაჲ მინდა დაუმაჯო, მამა ჩემი
 თქვენ კვერთხით (ჰოხით) გცემდა, მე თქვენი
 ცემად ვარ ეკლიანსი არენით (თოდუჲსით); რო-
 ბოვამ ღუთის მიშვებით დაბრმავდაცა, რომელმან

მოხუცებულთა მათ სწავლაჲ ერთ კერძოდ მიატოა,
 და უტკუო სწავლებასა უცვინოებისასა უსმინა,
 ამისთვის სიწყეა მიუცემულ მესამე დღესა რომელ
 ესრეთ უნასუსა, მაშინ ერძან ისრაელთასამან გარ-
 დადგომილმან თავი გამოილო, და ეცუოდეს მას
 ხვეწ ამიერიოთვან არა მაქუს წილი და კერძი სახლთან
 დავითისა, მივედ შენ შენს გვარსეღ იმეფეო: და
 ესრედ ჰირი აღრიკეს რობოამსა ისრაელთ ათ ნა-
 თესაგმან. და ერთი გამხდარნი წარვიდეს ცალკედ
 თავიანთი. მევე დაადგინეს იგი იერობოამ მედ ნა-
 ბატისა. რომლისათვის ღმერთს ეთქვა აქია წი-
 ნასწარმეცუველის მიერ: შემდგომ რობოვამ მათ
 დასამშვიდებლად და შესამინებლად მთავარი ერთი
 აღონირამ წოდებული უკან მიაყოლა, გარნა შეველა
 არ ქონდა, არამედ მეთა ისრაელისათა იგიუცა შეიპ-
 ერეს მთააქვავეს მოკლეს. და რობოამცა შეშინე-
 ბული, გამოვიდა იერუსალიმად ივლცოდის: მას
 შემდგომ რაჟამს რობოვამ კვლად ას ოთხმოცი
 ათასი კაცი შემოკრიბნა თავის უფლებასა ქვეშე
 მყოფი იუდის და ბენიამინის ნათესავისაგან, რა-
 თა მას ათს ისრაელთ ნათესავ სედა საომრად გა-
 ნვიდეს, დაიმორჩილოს. ღმერთმან სამე სასე-

ლით წინასწარმეტყველი ერთი მას მიუვლინა ;
 რომელი ეტყოდა ვითარმედ, განყოფილება ესე
 ნებითა ღუთისა ქმნულ არს, ცუდებრადოდ ბრძო-
 ლას ნუ ეოფს : და იგვერ საქმე დაბოლოვდა,
 რამეთუ რობოვამს იუდის და ბენიამინის ნათესა-
 ვი სოლო დაშთა . და იერობოამ ქემან ნაბაჯისა-
 მან ცალკედ შეფობის ქმნა დაიწყო დანაშუც ისრა-
 ელით ათ ნათესავს ზედა : ესრეთ ისრაელით ერთი
 მთავრობა ორად არკი განიყო, ორიგესიცა მერმე
 და მერმე ერთსა და იმავე დროებასა შინა ცალკე
 ცალკედ შეფენი სსდეს : ამის გამო ჩვენს ამათო
 ერთად აურევლობისათვის, აწე პირველად ისრაელით
 ათი გვარის შეფეთა ზედა მოგსთხრობთ . და შემდ-
 გომ იუდის შეფეთა მოთხრობასა დავსდებთ :

თავი მეოცდამეორე.

„ერობოვამის ისრაელთ მეფის ცოდვაჲ, და
ბოროტი შემდეგნი მისნი:

გ. მეფეთ. იბ. ივ. იდ. იე. ივ: — წელი ქვეუნი

3030.

უნდა იერობოვამ მთავრობა თვისი მტკიცედ დაიჭვას, და ეძინოდა არამცა პენი ისრაელისანი ღუთის მსახურებისათვის ქვეყანასა იუდისასა იერუსალიმის ცაძრად წარსვლითა, ნელ ნელა კელისაგან თვისისა გამოეცალონ, და უწყებასა ქვეშე მათი მთავრობისასა შევიდნ. ამის გამო თვისს სამეუფოს ორს მთავარს ადგილსა, ერთი იგი დან, მეორე ბეთელ წოდებულ ქალაქებ შინა ცაძარო ორი აღმართვინა. და ორთავეთაცა შინა თვითო თვითო ოქროსაგან შთამოსხმული კბოჲ დასდო. და აუკრძალა ერსა თვისსა იმიერითგან იერუსალიმად არლა წარსვლად, არამედ ორთა ამათ ერთს შინა წარვიდნ და მუნ საღმრთოჲ თვისნი ღმერთს შეწირონ. ეგრეთვე ესრეთ ჰქადაგა მეფეველმან ესენი იგი ღმერთები არიან. რომელთა პენი ის-

რელიისნი ცეგეობისაგან ეგვიპტისა გამოუსსნიეს;
 ემას გარდა მათა ზედა სსვა აღთქმასედ წარსას
 ვლელი ადგილნიც განაწესა, და ვითარცა თვით
 უნდოდა ლევიცელთ გარე სსვა მღვდელნი დაადე-
 ინნაცა ეე, იფერად ვიდრელა ესფერი საქმებითა
 ისრაელთ დაავიწყა მათი ჭეშმარიტი ღმერთი, რო-
 მელთ იმიერთგნც დაიწყეს გამოცხადებული კერპ
 მსასურებაჲ. და მიზეზითა ამითა ლუთისაც რისს-
 განი თითქმის მარადის მათგან არა მოაკლდებოდის:

დერობთამ მეფე ესე წინა ჰირველ რაჟამს
 ბეთელ საკურთხეველსა ზედა აღსული მის თვის
 დასმულ კერპის წინაშე თავად კელითა თვისითა დი-
 დებულ საღმრთოს (მსხვერპლს) შეწირვიდა, იმი-
 ერ იუდის ქვეყნით წინასწარმცხეველი ერთი მას
 მიუგლინა ღმერთმან, რომელი მუნ მივიდა და თქვა,
 საკურთხეველო საკურთხეველო, იცხევის უფალი
 ღმერთი, რამეთუ ნათესავისაგან დავითისა გამოხდეს
 კაცი ერთი ოსია სასელით, რომელმან შენ ზედ
 საღმრთოდ შეწიროს კერპის მღვდელნი ეგე, რო-
 მელ მაგენი აწ შენსედ მსხვერპლს წირვენ: (სა-
 ქმე ესე ასობითი წელიწადებს მერმე შესრულ-
 და; რაჟამს ოსია იუდის მეფემან მის კერპების

მღუდელთ ძგალნი საფლაგთაგან ამოყარა, და მის
 საკურთხეველის დანაშუკ ქვათა ზედა მოსწვა:)
 სიციყვისა ამის ნიშნად რომელს მართალს ვიცუ-
 ვიო, იცუოდა, წინასწარმეტყველი იგი, აწე მე
 საკურთხეველი ორად განიზოს, და მას ზედა მუო-
 ფი ძირს დატვივდეს: ერობოვამ ამას საეანსა ზედა
 სასტიკი გულის წყრომითა ოდეს განირთსა კელი
 და თქვა, კაცი ეგე შეიპყართ, მასვე ადვილსა კელი
 შესმა ღაძთა. და თვის წინაშე მუოფი საკურთხევე-
 ლი იგი თქმულობისა მეზრ მის წინასწარმეტყვე-
 ლისა ორ ნაკვეთად გასდა: მაშინ იერობოვამ ეგედრა
 წინასწარმეტყველსა მას, და ლოცვითა მისითა გა-
 ნიკურსა. გარსა მაინც და მაინც ჭკუა თავს არა მოი-
 კრიბნა და არა მიაჯოა, ცოდვა ესე კერწმსასურე-
 ბისა, რომლით ურიცხო ერისაჲ მიზესნი ცოდვისა
 გასდა: მის გამო ღმერთმან ფრიად განრისხებულმან
 მას ზედა, ჰრისსა აბია წოდებული ძეგ მისა, რომე-
 ლი მძიმე სწეულებასა შინა შთაგარდა: მაშინ იერო-
 ბოვამ ცოლსა თვისსა სამოხის გამოცვლა უთხრა,
 რათა არავინ კაცთაგანმან იცნას იგი. და თან მღუ-
 ცნთა წაღებით განვიდეს სელოვად მივიდეს აქია
 წინასწარმეტყველისას (რომელს ერის დროს ე-

წინასწარმეტყველა მეფობისათვის თვისისა.) და
 მის ყრმის მკურნალობისათვის მას შეჭკითოსოს
 ცოლიცა იგი რაჟამს ესრეთ მოვიდა სასლსა წი-
 ნასწარმეტყველისასა შევიდა, თუენდ წინასწარ-
 მეტყველიცა იგი ნამეტყნავი სიბერისაგან თვალის
 ნათლისაგან მოკლებული გერა სედგედა, მაინც
 მეესეულად ღმერთმან მას გამოუცხადა. რომელმან
 სასწავლობა მოუწოდა ქალი იგი თავისთან, და ღუ-
 თის კერძოდ იერობოვამის მოქმედებული უმადუ-
 რობაჲ და კერპისასურებაჲ ჭევედრა მეთყველმან,
